ახალი განთლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/
Akhali Ganatleba

№24 (938) გუგმოლის 1998 წლიდან

28.06.2021

ეჯიბრეულია!

გაზეთი სექტემბრამდე წყვეტს გამოსვლას, მანამდე კი, მთელი ზაფხული, თვალი ადევნეთ ჩვენს ვებგვერდზე ოპერატიულად განახლებად ინფორმაციას.

ბედნიერ არდადეგებს და წარმატებულ გამოცდებს გისურვებთ!!!

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/Akhali Ganatleba

ზოგადი განათლების რეფორმა

სწავლის შედეგები უფრო პროდუქტიული რომ გახდეს

კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხობს თამარ ჯაყელი, ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების ექსპერტი

რატომ არის მნიშვნელოვანი კომპლექსური დავალებებით მუშაობა?

• კომპლექსური დავალების მნიშვნელოვნებას ორი ასპექტით განვიხილავ: ერთი, ეს არის ცოდნის ხარისხი, მეორე – მოსწავლის მოტივაცია.

დავიწყოთ ცოდნის ხარისხით. კომპლექსური დავალების შექმნისას, მოსწავლეს უწევს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ურთიერთდაკავშირებულად, ინტერაქტიულად, თანადროულად გამოყენება ცხოვრებისეულ კონტექსტებში, ფუნქციურ სიტუაციაში. მოვიტანოთ კონკრეტული მაგალითი: წარმოვიდგინოთ, რომ უცხოური ენის გაკვეთილზე მოსწავლეს ასეთი დავალება მივეცით – მოამზადე ფოტოკოლაჟი ან ნახატების კოლაჟი, რომელზეც ასახავ შენს ყოფას პანდემიის დროს, სოციალური იზოლაციის პირობებში. კოლაჟი წარმოადგინე ზეპირი პრეზენტაციის სახით. დავაკვირდეთ, რა ტიპის ცოდნის კომპონენტები დასჭირდება მოსწავლეს იმისთვის, რომ ეს დავალება შეასრულოს – მთელი რიგი ლექსიკური ერთეულებისა, დაკავშირებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ასევე, დღის რეჟიმთან დაკავშირებული სიტყვები (შუადღე, საღამო, კვირის დღეები და სხვ.), რომელიც მან უნდა ისწავლოს; იქნება გარკვეული ზმნური ფორმები, სხვადასხვა დროში, რომლებიც უნდა აუღლოს; ასევე შესიტყვებები, რომლებიც უნდა გამოიყენოს, მაგალითად, საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად იმიტომ, რომ დავალების ინსტრუქციაში იქნება დაზუსტებები – როგორ ატარებ დროს, როგორია შენი დროის რეჟიმი, რა მოგწონს ამ უჩვეულო ყოფაში და ა.შ. რა დასჭირდება მას? საკუთარი სიტყვის ორგანიზება – როგორ ვიწყებ, რა იქნება შესავალი, როგორ განვავითარებ ჩემს სათქმელს და როგორ დავასრულებ, გარდა ამისა, არავერბალური მეტყველება (მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვანია ინტონაცია, რომელიც უცხოურ ენას ახასიათებს, ასევე, მახვილები, გამოთქმა). როგორც ხედავთ, ამ მოსწავლემ ცოდნის სხვადასხვა კომპონენტები ურთიერთდაკავშირებულად, თანადროულად უნდა გამოიყენოს. აი, ამას უწოდებენ დინამიკურ ცოდნას, ანუ ცოდნას, რომელსაც მე ცხოვრებაში ვიყენებ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

მოდი, შევადაროთ, რა ხდება არაკომპლექსური დავალებების კულტურაში. მოსწავლეს შევასწავლით ლექსიკურ ერთეულებს, გრამატიკულ საკითხებს და შემდეგ მივცემთ ტესტებს – ეს გრამატიკული საკითხი თუ ლექსიკური ერთეული იცის თუ არა? დავუშვათ, საუკეთესოდ ისწავლა ყველაფერი, მაგრამ ამ ენაზე საუბარს მაინც ვერ შეძლებს, რადგან მას, რეალურად, დინამიკური ცოდნა არ აქვს. ჩვენ რასაც კომპლექსურ დავალებას ვეძახით, სხვადასხვა ტრადიციებში სხვადასხვა სახელს უწოდებენ, ძირითადად, ეს არის: ავთენტური დავალება, ავთენტურ სიტუაციებთან დაკავშირებული დავალებები, პროექტული დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – ყველაფერი ეს ნიშნავს ისეთი ტიპის დავალებებს, რომლებიც, თავისი ხასიათით, კომპლექსურია და უკავშირდება ცხოვრებისეულ კონტექსტებს, მოსწავლის პიროვნებას და ა.შ. დღეს, დარგის სპეციალისტებმა, უამრავი კვლევის შედეგად, რომელიც 90-იანი წლებიდან ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით, ვიცით, რომ თუ გვინდა, მოსწავლე შევაიარაღოთ ცოდნით, რომელსაც ის რეალურად გამოიყენებს, აუცილებლად კომპლექსური ხასიათის დავალებებით უნდა ვამუშაოთ. ამის გარეშე, ჩვენ მას ვაძლევთ დანაწევრებულ, დაქუცმაცებულ ცოდნას, რომელიც სტატიკური და გამოუყენებელი ცოდნაა. ამიტომ ხდება, მაგალითად, რომ აბიტურიენტები მშვენივრად აბარებენ ეროვნულ გამოცდებს, შედიან უნივერსიტეტში და მერე ლექტორები ამბობენ – ამათ არაფერი უსწავლიათ, თავიდან უნდა გავიაროთ პროგრამები. თუ გვინდა ხარისხიანი განათლება და გვინდა, რომ მოსწავლე დინამიკური ცოდნით აღვჭურვოთ, უეჭველად ამ ტიპის დავალებები უნდა მივცეთ.

ამასთან კავშირშია უმნიშვნელოვანესი პრინციპის დაცვა – კეთებით სწავლება. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში ჰქონდათ ამის შესახებ ცოდნა, კონფუციმ თქვა: მითხარი და დამავიწყდება, მაჩვენე და დავიმახსოვრებ, გამაკეთებინე და გავიგებ. ანუ, როცა მოსწავლე არის კეთების პროცესში, უკეთ ითვისებს საგნობრივ საკითხებს და ეს მას დიდად ეხმარება ამ საკითხების გაგებაშიც და ათვისებაშიც.

რაც შეეხება მოსწავლის მოტივაციას – მისთვის კომპლექსური ტიპის დავალებები (რაკი ცხოვრებისეულ, ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება), ღირებული დავალებებია. მას არ უჩნდება შეკითხვა, რატომ მასწავლიან ამას, რაში მჭირდება ეს? ამის საპირისპიროდ, როდესაც მოსწავლეს გაუთავებლად რაღაც გრამატიკულ საკითხებს ვასწავლით, მერე კიდევ სხვა საკითხებზე გადავდივართ, მას უჩნდება შეკითხვა – რაში მჭირდება? ეს არის სწორედ კომპლექსური დავალების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი. გავიხსენოთ რას ამბობდა იაკობ გოგებაშვილი – მოზარდს ცხოვრება უყვარს, დაუკავშირე სწავლა ცხოვრებას და წახალისდება სწავლაზეც. გავიხსენოთ რას ამბობდა დიმიტრი უზნაძე – ადამიანს ცხოვრება ზრდის, შეიტანე სკოლაში ცხოვრება და ამ საფეხურებით ატარე მოსწავლე. ასე რომ, კომპლექსური დავალებით სწავლება, დღეს, უალტერნატივოა.

შეიძლება თუ არა ცვლილებების შეტანა სანიმუშოდ მოცემულ დავალებებში?

• რასაკვირველია, შესაძლებელია ცვლილებების შეტანა. სხვადასხვა არჩევანია – შეიძლება პირდაპირ გამოვიყენოთ, შეიძლება შევცვალოთ და შეიძლება საერთოდ ახალი დავალება შევქმნათ. ამ მხრივ, სრული თავისუფლება აქვთ მასწავლებლებს.

თუ ვცვლით, როგორ უნდა შევცვალოთ დავალება? ამისთვის უნდა ვიცოდეთ, რომ კომპლექსური დავალება შედგება სამი ნაწილისგან: ერთი არის პროდუქტი, რომელსაც მოსწავლე ქმნის, ანუ ეს არის კომპლექსური დავალების ფორმა; შემდეგია საგნობრივი საკითხი, ქვეცნება, ქვესაკითხები, რომელსაც ვასწავლით და რომლის სწავლის პროცესშიც მიგვყავს მოსწავლე სიღრმისეულ ცოდნამდე; მესამეა კრიტერიუმები, რომელიც პირდაპირ კავშირშია შერჩეულ სამიზნე ცნებასთან. ყურადღება შევაჩეროთ სამიზნე ცნებაზე – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ეს არის გრძელვადიანი მიზნები. რა შემთხვევაში ჩავთვლით, რომ მოსწავლე დაეუფლა ამა თუ იმ ცნებას? ამისთვის არსებობს გარკვეული განზოგადებული დებულებები, რომელიც მან უნდა გააცნობიეროს, მაგალითად, ავიღოთ ცნება „საზოგადოება“ (ცნებას ვირჩევთ „მე და საზოგადოებიდან“). ამ ცნებაში გამოკვეთილია სამი ასეთი დებულება, რომელიც მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს:

➪ საზოგადოების წევრებს აქვთ ერთიანობის განცდა („ჩვენ“);

➪ საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი:

➪ საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე.

მოსწავლემ ეს უნდა გააცნობიეროს და ამისთვის, ერთერთ საკითხად, ამ დავალებაში გამოვიყენებთ, მაგალითად, „სამეგობროს“ და შევთავაზებთ – შექმენით გერბი თქვენი სამეგობროსთვის, ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

➪ თქვენი სამეგობროს ერთიანობის ამსახველი სიტყვა;

➪ საერთო საზრუნავი და ინტერესი, რომელიც თქვენს სამეგობროს აერთიანებს;

➪ ღირებულება, დაუწერელი წესი, რომელზეც ჯგუფის თითოეული წევრი თანხმდებით.

თუ დააკვირდებით, ეს სამი მოთხოვნა პირდაპირ უკავშირდება სამიზნე ცნების ამ განზოგადებულ დებულებებს. მაშასადამე, მოსწავლეს ვაძლევთ კონკრეტულ პროდუქტს – გერბი, რომელიც უნდა შეასრულოს, საკითხს – სამეგობრო და კრიტერიუმებს. ამ შემთხვევაში, რისი შეცვლა შეუძლია მასწავლებელს? შეუძლია შეცვალოს პროდუქტი – გერბი კი არ იყოს, არამედ სულ სხვა, მაგალითად, ტელეგადაცემისთვის სცენარის მომზადება. შეუძლია შეცვალოს საკითხი, ამ შემთხვევაში, „სამეგობროს“ ნაცვლად, აირჩიოს „ოჯახი“, ან „ფეხბურთის გუნდი“, ან „სკოლა“, ან „კლასი“, როგორც საზოგადოება და ა.შ. მას შეუძლია შეცვალოს პროდუქტი, საკითხი, მაგრამ არ იცვლება კრიტერიუმები, ეს კრიტერიუმები ყოველთვის მიემართება სამიზნე ცნებებს.

შემიძლია სხვა მაგალითიც მოვიყვანო, ქართულში, მაგალითად, რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „განთავისუფლება“. შეიძლება ასეთი კომპლექსური დავალება შევთავაზოთ – შექმენით კომიქსი, რომელშიც „ღრუბლოვან“ დიალოგებში წარმოაჩენთ პერსონაჟების ფიქრებს, მოტივებს, რა ამოძრავებთ, რა დამოკიდებულებები აქვთ სხვა პერსონაჟების ან მთავარი სათქმელის მიმართ. შემდეგ იქნება მოცემული კრიტერიუმები, ცნებასთან მიმართებით. აქაც მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს პროდუქტი – კომიქსი კი არ იყოს, არამედ, მაგალითად, პოსტერი, რომელზედაც მოსწავლემ მთავარი იდეის მისეული გაგება უნდა ასახოს. პედაგოგს შეუძლია, ასევე, შეცვალოს საკითხები, ეს იყოს არა პერსონაჟი და მისი შინაგანი სამყარო, არამედ, მაგალითად, დიალოგი. თუ დიალოგს აირჩევს, შეუძლია პროდუქტად აიღოს მოთხრობის გაგრძელება – მთავარი გმირი რომ მივა სახლში, რა დიალოგს გამართავს შვილიშვილებთან. რაც შეეხება კრიტერიუმებს, მუდმივად, არსობრივად, ერთი და იგივეა, უბრალოდ, დავალების კონტექსტიდან გამომდინარე, ოდნავ განსხვავებულ ხორცს ისხამს.

ასე რომ, მასწავლებელს, ამ მხრივ, სრული თავისუფლება აქვს.

როგორ მოვიქცეთ, როცა დავალებას ასრულებენ მშობლები? დავწეროთ კარგი ნიშანი?

• არის ხოლმე იდეალურად მოწესრიგებული პროდუქტი, რომელსაც ითხოვს კომპლექსური დავალება და აშკარაა, რომ ეს მშობლის შესრულებულია. კომპლექსური დავალების პროდუქტი არ არის მიზანი, ეს არის საშუალება იმისთვის, რომ ამ პროდუქტის შექმნის პროცესში მოსწავლემ განავითაროს თავისი ძალები, ნელ-ნელა შეიძინოს საჭირო ცოდნა, განივითაროს თავისი ცოდნის სტრუქტურები. მასწავლებელი ამ პროცესზე უნდა იყოს ორიენტირებული. არ უნდა გვეგონოს, რომ ჩვენ უნდა მივცეთ სახლში დავალება, მან ეს დავალება შეასრულოს (ვინ იცის, ვინ შეასრულებს) და გაკვეთილზე მოიტანოს. არა, დავალების შექმნის პროცესი საგაკვეთილო პროცესის განუყოფელი ნაწილია, ამ პროცესში ჩვენ უამრავ სხვადასხვა აქტივობას ვიყენებთ, რომელიც მოსწავლეს ეხმარება დავალების შესრულებაში. ამასთან დაკავშირებით, გავიხსენებ დიმიტრი უზნაძის სიტყვებს: სწავლის სექტორში მნიშვნელოვანი არის მოსწავლის განვითარების პროცესი, ეს არის ღირებულება. მასწავლებელმა ამას უნდა შეხედოს და ამის მიხედვით დაწერს შემდეგ ნიშანს, რამდენად განვითარდა ეს მოსწავლე. ამის შესაფასებლად მასწავლებელს არ გაუჭირდება იმის გარჩევა, მოსწავლის შესრულებულია თუ არა დავალება. მით უფრო, რომ, რეფორმის ფარგლებში, ყველა სკოლამ იცის (ჩვენ სადაც შევდივართ, ამას ვასწავლით), რომ ერთი ფაზაა პრაქტიკული მუშაობა, როცა მოსწავლე ამ ყველაფერს ქმნის და მეორე, უმნიშვნელოვანესი ფაზა, რომლის დროსაც ის თავის შექმნილს გაასიტყვებს – აღწერს რა გააკეთა, ახსნის რატომ გააკეთა ასე, შეაფასებს რა გამოუვიდა ან არ გამოუვიდა. ამ მეორე ფაზაში, როდესაც მოსწავლე წარადგენს, საუბრობს, კითხვებს ვუსვამთ და ვიღებთ პასუხებს, გარკვეულ მოცემულობას ვიქმნით – რა ხდება, არის თუ არა მოსწავლეში ის ძალები განვითარებული, რომლის განვითარებასაც ემსახურებოდა ეს კომპლექსური დავალება.

თუ ყველა საგანში, თემის შემდეგ, კომპლექსური დავალებები უნდა შესრულდეს, როგორ შეძლებს მოსწავლე მათზე დროის და ენერგიის განაწილებას?

• კომპლექსური დავალება არ არის თემის დანამატი – დავამთავრე თემა და შემდეგ ვაკეთებ. არა, კომპლექსური დავალება თემის შემადგენელი ნაწილია. სწორედ კომპლექსური დავალების შექმნის პროცესით მიმყავს თემატური ერთეულის სწავლება. ხომ ვნახეთ მაგალითი უცხოურ ენაში – კოლაჟის პრეზენტაცია მის ყოფაზე პანდემიის დროს. ამ დავალებაზე მუშაობის პროცესში ვასწავლით უამრავ ლექსიკურ ერთეულს, გრამატიკულ საკითხებს და ა.შ. ასე რომ, ეს თემის სწავლების შემადგენელი ნაწილია და არა რაღაც დამატება თემის ბოლოს.

ძალიან დიდხანს ხომ არ ვჩერდებით კომპლექსურ დავალებაზე, სახელმძღვანელო კი უყურადღებოდ გვრჩება? როგორ ვიქცევით, თუ ვერ ვამთავრებთ პროგრამას?

• მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში თვითონ მასწავლებელი ქმნის თავის პროგრამას. სახელმძღვანელო არ არის პროგრამა, სახელმძღვანელო ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია მასწავლებლისთვის. თუკი აქამდე მიაჩნდათ, რომ უნდა დავფარო სახელმძღვანელო, ანუ გადარბენით გავიარო და ვინც გამომყვება, გამომყვება, ვინც არა, რა ვქნა, დააბრალოს თავის თავს, დღეს ასე არ არის. ჩვენს პროგრამას მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობების მიხედვით ვქმნით, გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. ვიცით, მაგალითად, ქართულში, რომ სამი გრძელვადიანი მიზანი გვაქვს და ჩემზეა დამოკიდებული, ოთხი წლის განმავლობაში, რა საკითხებს და რომელ ტექსტებს შევარჩევ იმისთვის, რომ სიღრმისეულ არსობრივ ცოდნამდე მივიყვანო მოსწავლე შევაიარაღო დინამიკური ცოდნით, რომელსაც შემდეგ ბევრ სხვა ტექსტებშიც გამოიყენებს.

აუცილებელია, ერთმა კომპლექსურმა დავალებამ ყველა სამიზნე ცნება მოიცვას?

• ერთი კომპლექსური დავალებით ჩვენ შეიძლება მოვიცვათ მხოლოდ ერთი სამიზნე ცნება, ან ორი, ან სამი... ეს მასწავლებლის გადასაწყვეტია – როგორ კომპლექსურ დავალებას შეარჩევს და ამ დავალების საშუალებით რამდენ სამიზნე ცნებაზე იმუშავებს.

თემის ფარგლებში, კომპლექსურმა დავალებამ ყველა სამიზნე ცნება უნდა მოიცვას?

• ნამდვილად სასურველია, შეძლებისამებრ, ერთი თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნებაზე ვიმუშაოთ. ასეთი სამიზნე ცნებები, ძირითადად, არის ხუთი, ოთხი, ზოგჯერ – სამი. ყოველ შემთხვევაში, რაოდენობრივად, ბევრი ნამდვილად არ არის. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? ეს არის მოსწავლეზე ორიენტირება, რომ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, ჯერ ერთი თემა შემომაქვს, მერე – მეორე, მესამე... მოსწავლეს, რომელსაც პირველ თემაში გაუჭირდა, შესაძლებლობა ეძლევა, მეორე თემის ფარგლებში, უფრო კარგად ჩაწვდეს არსს, მესამე თემის ფარგლებში, კიდევ უფრო ღრმად წავიდეს. ასე რომ, ეს ნამდვილად სასურველია.

ზოგადი განათლების რეფორმა

ისევ გზამკვლევების მიხედვით ვიმუშავებთ თუ წიგნებში იქნება ეს ყველაფერი?

• გზამკვლევებს ყოველთვის გამოვიყენებთ, ეს დამხმარე რესურსია და რაც მეტი დამხმარე რესურსია, მით უკეთესი. რაც შეეხება წიგნებს, VII, VIII, IX კლასების ახალგრიფირებული სახელმძღვანელოები უკვე შეფასდა იმ კრიტერიუმებით, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სარეფორმო მოთხოვნებს. ასე რომ, ამ წიგნებში უკვე კომპლექსური დავალებებიც გაჩნდა, მათი დამუშავების ხერხებიც, რაც მასწავლებელს დიდ დახმარებას გაუწევს. ამ სახელმძღვანელოებს მასწავლებლები გამოიყენებენ, როგორც მნიშვნელოვან რესურსს.

რამდენი კომპლექსური დავალება უნდა შესრულდეს ერთ სასწავლო წელს? შემიძლია თუ არა, რაოდენობა თვითონ განვსაზღვრო, ჩემი კლასის მოცემულობიდან გამომდინარე?

• პირველ რიგში, აუცილებლად, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუ მოსწავლეზე ვართ ორიენტირებულები. მეორე, ასე არ არის, რომ ერთმნიშვნელოვნად ვთქვათ, რომელ თემაში რამდენი კომპლექსური დავალებაა. საერთოდ, ძალიან ვერიდებით საკითხების რაოდენობრივი კრიტერიუმებით განხილვას და რაოდენობრივი კრიტერიუმების წაყენებას იმიტომ, რომ სწორედ ამან ჩააგდო მოსწავლეები ცუდ მდგომარეობაში. ორიენტირებულები ვიყავით მოცულობაზე – კალენდარულ გეგმებში, გარკვეულ დროში გარკვეული მოცულობა უნდა დაეფარა მასწავლებელს. სად არის აქ მოსწავლეზე ორიენტირება?! ამიტომ, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე ვმოქმედებთ.

საგნების მიხედვით სხვადასხვაგვარი სიტუაციაა, თემების რაოდენობა სხვადასხვაა, ზოგან მიმართულებებია (მაგალითად, ბუნებისმეტყველებაში სამი მიმართულებაა) და ცნებების რაოდენობაც სხვადასხვაა. გარდა ამისა, რაზეა ეს დამოკიდებული? ვთქვათ, მე ავიღე ბუნებისმეტყველებაში კომპლექსური დავალება, რომლითაც შემიძლია ორი ცნება თავისუფლად დავამუშავო, მაგალითად, „ცოცხალი ორგანიზმები“ და „საბინადრო“. შემიძლია ჭიანჭველების ბუდეზე ვიმუშაო და ამ შემთხვევაში, ორ ცნებას დავფარავ, ანუ ეს დამოკიდებულია იმაზე, რა ტიპის კომპლექსურ დავალებას ირჩევს მასწავლებელი, ამ კომპლექსური დავალებით რამდენ ცნებაზე გადის და ა.შ., მაგრამ დაუძლეველი რაოდენობის ნამდვილად არ უნდა იყოს. მთავარია, დავინახოთ, რამდენად ვახერხებთ მოსწავლეების გონებრივი საამქროს ამუშავებას, ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირების გზით და მათ ჩაღრმავებას გრძელვადიანი მიზნების მოთხოვნებთან. ეს არის არსებითი ამოცანა.

რით უკავშირდება კომპლექსური დავალება შემაჯამებელ დავალებას?

• შემაჯამებელი დავალება – ეს ტერმინი გამოიყენება ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ის, თუ რა მნიშვნელობითაა გამოყენებული, უფრო დავალების სტატუსზე მიუთითებს. როდესაც მე ვიყენებ შემაჯამებელ დავალებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დავალებაში შემაჯამებელ ნიშანს ვწერ. რით უკავშირდება კომპლექსური დავალება შემაჯამებელ დავალებას? ერთი თემის ფარგლებში თუ გვაქვს, მაგალითად, ოთხი ან სამი კომპლექსური დავალება, შეგვიძლია ავირჩიოთ ერთ-ერთი და ვთქვათ, რომ აი, ეს იქნება შემაჯამებელი.

როგორ მოვასწროთ დავალების პრეზენტაციები? როგორ მოვახერხოთ, რომ ეს მოსაბეზრებელი არ იყოს?

• პირველ რიგში, ძალიან ნუ გავმიჯნავთ ერთმანეთისგან დავალების შექმნის და წარდგენის პროცესებს, ფაქტობრივად, სწავლების პროცესსა და შეფასების პროცესს ასე გამიჯნულად ნუ განვიხილავთ. მაგალითად, სასწავლო პროცესში, შეიძლება, რომელიმე მოსწავლესთან მუდმივი დიალოგი მაქვს, რაღაცებს მეკითხება და ამ დიალოგში, რჩევების მიცემაში, შეკითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში, ვხედავ, რა ხდება მის შემეცნებით სისტემაში, როგორ მიდის წინ, როგორ ითვისებს და, შეიძლება, საერთოდ არ იყოს საჭირო, რომ ცალკე პრეზენტაციისთვის გამოვიყვანო.

არის ასევე სხვადასხვა ხერხები – მოსწავლეების მიხედვით შევადგინოთ განრიგი. როდესაც ორიგინალური პროექტია, შეიძლება მოსწავლეს ძალიან უნდოდეს, კლასის წინაშე წარადგინოს. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დავაწესოთ განრიგი, ვინ როდის გამოიტანს თავის კომპლექსურ დავალებას; ან მოვაწყოთ გამოფენა და მოსწავლეებს მივცეთ კონკრეტული ამოცანა – დაათვალიერე გამოფენა, ყველაზე მეტად რომელი დავალება ჰგავს ან განსხვავდება შენი დავალებისგან, რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება – და ამასთან დაკავშირებით გაიმართოს დისკუსია.

არის უფრო შემეცნებითი ხასიათის დავალებები, მაგალითად ორი ცხოველის შედარება და წარმოდგენა – რით გვანან და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ შემთხვევაში, შეიძლება ერთმა-ორმა გააკეთოს მხოლოდ პრეზენტაცია და შემდეგ კლასს ვკითხოთ, ვის აქვს განსხვავებული მოსაზრება და გაიმართოს დისკუსია, რომლის პროცესშიც დავინახავთ ვინ როგორ ჩაწვდა ამ საკითხებს. ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილებებს სტანდარტულად ნუ მივიღებთ.

ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება, განსაკუთრებით იქ, სადაც ბევრი მოსწავლეა. თუ მოსწავლეებს აქვთ იმის სურვილი, რომ აუცილებლად წარადგინონ, უნდა გადავანაწილოთ დღეების მიხედვით, მივცეთ კონკრეტული ამოცანა, რომ ეს მათთვის მოსაბეზრებელი არ იყოს. სხვათა შორის, ბევრი მოსწავლეა, ვისაც ურჩევნია, მასწავლებელს ინდივიდუალურად ჩააბაროს დავალება და ამის კარგად გამოყენებაც შეიძლება. ყველა ერთნაირი ფსიქოლოგიური პროფილის არ არის. საგაკვეთილო პროცესშიც შეიძლება დამოუკიდებელი სამუშაო მივცეთ კლასის ერთ ნაწილს და მეორე ნაწილისგან პრეზენტაციები ჩავიბაროთ.

მოკლედ, კომპლექსური დავალება არის საშუალება დიალოგისა მასწავლებლის მოსწავლესთან, რომელსაც ის მხარში უდგას, მის განვითარებას უწყობს ხელს და მონაცემებს აგროვებს, განვითარების რა მეტამორფოზა მიმდინარეობს ამ მოსწავლეში, ეს არის მთავარი.

გამოიყენეთ კომპლექსური დავალებები საგაკვეთილო პროცესში, დამერწმუნეთ, ეს გაახალისებს სწავლა-სწავლების პროცესს თქვენთვისაც და მოსწავლეებისთვისაც, ამასთანავე, სწავლის შედეგებს უფრო პროდუქტიულს გახდის.

მომზადდა პროექტის „ტელე-მეგზური მასწავლებლებისთვის“ მიხედვით

სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების რაოდენობა 34%-ით შემცირდა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სხვადასხვა უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების იდენტიფიცირებისა და განათლების სისტემაში ჩართვის მიმართულებით მუშაობას აქტიურად აგრძელებს.

უახლესი მონაცემებით, ბენეფიციარებთან სოციალური მუშაკების ინტენსიური მუშაობის, სხვადასხვა უწყების მონაცემთა ბაზების შედარებისა და აღმოფხვრილი შეუსაბამობების შედეგად, ასევე პირველკლასელთა რეგისტრაციის I და II ეტაპის მონაცემების გათვალისწინებით, სკოლის მიღმა დარჩენილ პირთა რაოდენობა, დღეის მდგომარეობით, 6,885-მდე შემცირდა.

მნიშვნელოვანია, რომ 1000-ზე მეტმა ბავშვმა უკვე გაიარა რეგისტრაცია და სექტემბრიდან შეუერთდებიან სასწავლო პროცესს. გარდა ამისა, მონაცემთა საგრძნობი შემცირება განაპირობა უცხოელ პირებთან აღრიცხვის პრობლემების მოწესრიგებამ და საზღვარგარეთ მყოფი იმ ბავშვების გამოვლენამ, რომლებიც საზღვარგარეთ დაიბადნენ, თუმცა საქართველოს მოქალაქეები არიან.

პირველკლასელთა რეგისტრაციის III (საყოველთაო) და IV ეტაპებზე მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მოსალოდნელია, რომ მონაცემები კიდევ შემცირდება და რეალურ ოდენობას დაუახლოვდება. ამ ეტაპზე არსებულ სურათს შეცვლის სოციალური მუშაკების ინტენსიური მუშაობაც, რომელთა მიზანს მოზარდთა ფორმალურ განათლებაში ჩართვა წარმოადგენს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია, პირველ რიგში, იმ ბავშვების იდენტიფიცირება, რომელთა განათლების უფლება დარღვეულია და მათთვის შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ასევე, ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებს მისცემს შესაძლებლობას, უფრო მოქნილად გაცვალონ ინფორმაცია და დროულად გამოავლინონ ბავშვები, რომლებიც 6 წლის ასაკში განათლების სისტემის მიღმა დარჩებიან.

მარტში გამოქვეყნებული პირველადი შედეგებით, გამოვლინდა 6-დან 16 წლამდე 10 404 მოზარდი (შესაბამისი ასაკის მოსახლეობის 1,7%), რომლებსაც არ აქვთ საგანმანათლებლო ისტორია და არ არიან განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მოსწავლეთა ბაზაში. მომდევნო ეტაპზე ეს მონაცემი 9 200-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ სრული მონაცემები აქამდე არ არსებობდა, ასევე, არ არსებობდა რაიმე გეგმა ან მექანიზმი საგანმანათლებლო გარემოში მათ დასაბრუნებლად.

2021 წლის მდგრადი განვითარების რეიტინგში საქართველო 2 ადგილით დაწინაურდა და ხარისხიანი განათლების მაჩვენებლით ევროპის ათეულში მოხვდა

კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მდგრადი განვითარების 2021 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების კუთხით შეფასებული 165 ქვეყნის მსოფლიო რეიტინგში საქართველომ მდგომარეობა ორი ადგილით გაიუმჯობესა და 56-ე პოზიცია დაიკავა. აღსანიშნავია, რომ, 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა 58-ე, ხოლო 2017 წელს – 66-ე პოზიციას იკავებდა.

მდგრად განვითარებაზე მომუშავე დამოუკიდებელ მკვლევართა ჯგუფმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის დირექტორის, ჯეფრი საშის ხელმძღვანელობით, ქვეყნები მდგრადი განვითარების 17 გლობალური მიზნის 93 სხვადასხვა კრიტერიუმით შეაფასა. აღნიშნული კრიტერიუმები მსოფლიოს წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს მოიცავს, კერძოდ, სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, განათლების, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს, ასევე კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს.

საქართველოს წარმატება განაპირობა მიღწეულმა პროგრესმა ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანი – „ხარისხიანი განათლება“, აგრეთვე, მართლმსაჯულების ინდექსი, კორპორაციული გადასახადების სიმსუბუქე, პრესის თავისუფლება და სხვა.

ეკატერინე დგებუაძე: *„2021 წლის მდგრადი განვითარების რეიტინგში საქართველოს დაწინაურება ადასტურებს, რომ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები ეფექტიანია.*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ მიაღწიოს მდგრადი განვითარების მიზნით განსაზღვრულ ინდიკატორებს. ამ კუთხით, სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს. მიმდინარეობს რეფორმა როგორც სკოლამდელი, ასევე ზოგადი და პროფესიული განათლების მიმართულებით.

მინდა ხაზი გავუსვა განათლებისა და მეცნიერების ათწლიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, რომლის შემუშავებაზეც ამჟამად ვმუშაობთ, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად. მასში აუცილებლად იქნება ასახული ის ინდიკატორები, რომელიც წარმოდგენილია მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანში“.

კვლევის შეფასებით, საქართველო, „ხარისხიანი განათლების“ მაჩვენებლით, მსოფლიოს 165 ქვეყნის რეიტინგში იმ 30 ქვეყანასა და ევროპის 10 ქვეყანას შორის მოხვდა, სადაც მდგრადი განვითარების მიზანი მიღწეულია.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი წარმატება გამოვლინდა ისეთ ინდიკატორში, როგორიცაა მართლმსაჯულების 2020 წლის ინდექსი, რომელიც მართლმსაჯულებაზე წვდომასა და ხელმისაწვდომობას გულისხმობს. საქართველო, ამ კრიტერიუმით შეფასებული მსოფლიოს 126 ქვეყანას შორის – 28-ე ადგილზე, ხოლო ევროპის საუკეთესო ოცეულში – მე-15 ადგილზე გავიდა, სტატუსით „მდგრადი განვითარების მიზანს მიღწეული“.

ასევე, კარგი შედეგი აჩვენა საქართველომ ისეთ მაჩვენებელში, როგორიცაა საკუთრების უფლების ინდექსი, სადაც მსოფლიოში 32-ე, ხოლო ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-14 ადგილზე გავიდა.

ანგარიშის მიხედვით, საერთო ჯამში, საქართველომ გააუმჯობესა მდგრადი განვითარების 10 მიზანი და 40 კრიტერიუმი, საიდანაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 33 მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების 38 ინდიკატორში საქართველო შეფასდა, როგორც „მდგრადი განვითარების მიზანს მიღწეული“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ანგარიშს ყოველწლიურად აქვეყნებს. 2021 წლის ანგარიში უკვე მე-7 გამოცემაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, 2015 წლის 25 სექტემბერს, მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“. 2015 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა მაღალ პოლიტიკურ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია. კონსულტაციების შედეგად, გაეროს მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი და 93 ამოცანა განისაზღვრა ეროვნულ პრიორიტეტად. თითოეული ეს მიზანი და ამოცანა 2030 წლამდე უნდა შესრულდეს.

აღსანიშნავია, რომ 2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, შესაბამისობაში იქნება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან და ამოცანებთან.

წყარო: https://dashboards.sdgindex.org/

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

გაიცანით საუკეთესო ათეული

გიტა თვალაბეიშვილი
თბილისის №168 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი

რა ემოციაა ათეულში მოხვედორა – „შეუძლებელია, არ არსებობს, გამორიცხულია“ – ეს ის სიტყვებია, რომელსაც გაფუჭებული დიქტოფონივით იმეორებდი, ოთახიდან ოთახში დადიოდი და პატარა ბავშვივით ტიროდიო, – დამციინის ჩემი შვილი.

მართალია, რადგან მაშინ სრულიად არაადეკვატური ვიყავი. ალბათ ძალიან სასაცილოც, თუ ამას ვაკეთებდი. არ ვიცი, სიტყვები ცოტაა მაშინდელი ფიქრების გადმოსაცემად.

მაშინ, როცა ფიქრობ, რომ სადღაც, ერთ-ერთ სკოლაში, შენთვის ზიხარ და აკეთებ იმას, რაც ძალიან მოგწონს, რაც სწორად მიგაჩნია, რაც მნიშვნელოვანი გგონია ბავშვის განვითარებისთვის და ხელშეწყობისთვის. არ მოგწონს რაღაცრაღაცები და შენ თვითონ გადააკეთებ-გადმოაკეთებ და ისე მიგაქვს მოსწავლეების გულებამდე და გონებამდე. მეტიც, თუ რაღაც კარგად ჩაივლის, თვითკმაყოფილი გამოქვეყნებასაც ბედავ, რომ უკვე დატესტილ-გამონაცადი სხვასაც გაუზიარო.

...და უცებ აღმოაჩენ, რომ ეს ყველაფერი, რაც გიკეთებია, თურმე, მარტო შენ და შენს მოსწავლეებს კი არა, სხვა ადამიანებსაც მოსწონთ.

ჰოდა, მიხარია თუ სწორი გზით ვატარე ჩემი მოსწავლეები. თუმცა ახლა ვაცნობიერებ, რომ ამ ათეულში მოხვედრა, აღიარებასთან ერთად, სხვა შინაგან პასუხიმგებლობებს და მოვალეობებსაც გაკისრებს, რაც ცოტათი მაფორიაქებს კიდეც.

რას ნიშნავს მასწავლებლისთვის ეროვნული ჯილდოს კონკურსი – მასაწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსი ხელს უწყობს მასწავლებლის საქმიანობის აღიარებასა და პოპულარიზებას. ხუთი წელია უკვე ამ ჯილდომ ბევრი საინტერესო და შესანიშნავი მასწავლებელი გამოავლინა. აღიარება ყველა საქმიანობას სჭირდება, მით უფრო, როცა მასწავლებლობა თითქოს დაუფასებელი პროფესიაა, ამგვარი მიდგომა ზრდის პროფესიისადმი ინტერესს. ამას სხვა ადამიანებიც ადასტურებენ. გარდა ამისა, მასწავლებლის ეროვნულმა ჯილდომ ერთმანეთს დააკავშირა და გააცნო ისეთი მასწავლებლები, ვინც საერთო საქმეს ემსახურებიან დიდი ენთუზიაზმით, მონდომებითა და ინტერესით. მათი მონაწილეობით დაიგეგმა და განხორციელდა მრავალი საინტერესო ინიციატივა, პროექტი თუ აქტივობა ზოგადი განათლების მიმართულებით და ალბათ სამომავლოდაც მრავლად ვიხილავთ.

რა არის თქვენი სწავლებიდან ის გამორჩეული მეთოდი, რომლის გამოც ჟიურიმ შეგარჩიათ – ვაი! ეს ის კითხვაა, რომელზეც პასუხი ყველაზე უკეთ ალბათ ჟიურის წევრებს ეცოდინებათ. ჩემი მხრიდან, რთული იქნება, ამ კითხვას ობიექტურად ვუპასუხო. არ ვთვლი, რომ რაღაც განსაკუთრებულს ვაკეთებ, რადგან ჩემ ირგვლივ ძალიან ბევრ მასწავლებელს ვიცნობ, ვისაც ეს საქმე საოცრად გამოსდის. უბრალოდ გეტყვით, თუ რა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი სწავლებისას.

„ასწავლი, ნიშნავს ორჯერ ისწავლო“. დიახ, ერთხელ ყველაფერი საკუთარი თავისთვის ვისწავლე, ახლა კი ამას ჩემი მოსწავლეებისთვის ვაკეთებ. ვაკვირდები, ვინიშნავ, ვეძებ, ვცდილობ, ვამოწმებ, მოვსინჯავ, ვარგებ, აღმოვაჩენ, ვქმნი, ვაღიარებ, ვცვლი – ეს ის ზმნებია, რომელიც ჩემს პედაგოგიურ საქმიანობას განსაზღვრავს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოსწავლეები პატარა ადამიანები არიან, მათ ყოველთვის აღვიქვამ როგორც თანასწორს. მათ იციან, რომ თითოეულის ფიქრი და ემოცია ჩემთვის მნიშვნელოვანია. ისინი ჩემში უნდა ხედავდნენ მხარდამჭერსა და გულშემატკივარს. თითქმის ყველაფერზე ერთად ვმსჯელობთ და მივდივართ საერთო აზრამდე.

ყოველთვის ვცდილობ საკლასო ოთახში პოზიტიური, მეგობრული და თბილი გარემო შევქმნა, რადგან სკოლიდან წასულ მოსწავლეს კვლავ გაუჩნდეს მოსვლის სურვილი. მოსწავლე უნდა გრძნობდეს მის საჭიროებას გაკვეთილზე. ფიქრობდეს, რომ მის გარეშე გაკვეთილი ისეთი მომხიბვლელი ვერ იქნება. უკეთ სწავლებისთვის აუცილებელია მოსწავლეთა განწყობა და მოტივაცია. მიმაჩნია, რომ ბედნიერ ბავშვთან ბევრად მეტის გაკეთებას შევძლებ. ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ამისთვის ხშირად ვიყენებ თამაშის ელემენტებს.

ბავშვებს ძალიან მოსწონთ ინტეგრირებული სწავლება, ერთი საკითხის სხვადასხვა საგნისა თუ კომპეტენციის ჭრილში განხილვა. ამით ისინი თემის ღირებულებასა და დანიშნულებას მეტად და მრავალფეროვნად იაზრებენ. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი საკითხი 3-4 საგანზეც მოგვირგია.

ხშირად ვაწარმოებ მოსწავლეებზე „დაკვირვების დღიურს“, რაც საშუალებას მაძლევს, შევაფასო მათი უნარები და შესაძლებლობები. გავითვალისწინო და თითოეულის საჭიროებიდან გამომდინარე დავგეგმო გაკვეთილი. ამისთვის, მეტწილად, ვიყენებ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რომელიც მორგებულია თითოეული ბავშვის საჭიროებას, იქნება ეს გარემოს მოწყობა თუ მეთოდოლოგიის მრავალფეროვნება.

აუცილებელია სწავლება არაფორმალურ გარემოშიც, რადგან ასეთ დროს დაინტერესება დიდია და ბევრად მეტს და უკეთ ითვისებს მოსწავლე შესასწავლ საკითხზე. ამისთვის ხშირად გვაქვს გასვლითი გაკვეთილები ღია სივრცეებში, მუზეუმებში, საგამოფენო დარბაზებში, თეატრებში და ა.შ. ასეთი გაკვეთილების თანმხლები აქტივობაა მოსწავლეთა ანალიზი და რეფლექსია.

სასწავლო პროცესის ეფექტურობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა. მათთვის ხშირად ვმართავ შეხვედრებს როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ სივრცეში, ვაცნობ სწავლების სპეციფიკასა და მეთოდებს, ვებინარებს.

დისტანციური სწავლებისას უამრავი რესურსის მოძიება, გადაკეთება, მორგება მომიხდა საჭიროებებზე და მოსწავლეთა ინტერესებზე. ზოგჯერ ვიყენებდი ინოვაციურ მიდგომებსაც. ქართულად მასალები მწირი იყო, ამიტომ ინტერნეტ სივრცეში ვეძებდი, ვაქართულებდი, ვქმნიდი ახალ რესურსებს და ისე მიმქონდა მოსწავლეებამდე. მათ მრავლად ნახავთ ჩემს you tube არხზე და ჟურნალ mastsavlebeli.ge-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში.

რატომ გადაწყვიტეთ ეროვნულ ჯილდოს კონკურსში მონაწილეობა – ეროვნული ჯილდოს კონკურსს აქტიურად ვადევნებდი თვალს, ჯერ კიდევ 2017 წლიდან. იმთავითვე, როცა ეს კონკურსი შეიქმნა, მასწავლებლის სახლში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა კონკურსის მოთხოვნებისა და ფორმატის გაცნობის შესახებ, სადაც სკოლას წარგზავნილი ჰყავდა ერთი მასწავლებელი. ისე მოხდა, რომ ამ შეხვედრას დავესწარი. როცა აპლიკაცია გაგვაცნეს, ჩემდა უნებურად, გავიფიქრე, ბედნიერი ის, ვინც ამას შეძლებს-მეთქი. მას შემდეგ აქტიურად ვადევნებ თვალს კონკურსს, თუმცა არასდროს მიფიქრია კი არა, აღარასდროს გამიხსნია აპლიკაცია, რომ გავცნობოდი მაინც. წელს ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ კონფერენციაზე გავიცანი ანა კინწურაშვილი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2020 წლის ხუთეულის წევრი. ანა იყო სწორედ ის ადამიანი, ვინც პირველად წარმადგინა ჯილდოზე, დამარწმუნა და გადამაწყვეტინა მონაწილეობა. მცირე ხანში მეორე წარდგენის შეტყობინებაც მივიღე მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2018 წლის გამარჯვებულისგან - მანანა კაპეტივაძისგან. ჰოდა, მოდი და უღალატე ასეთი ადამიანების ნდობას და არ სცადო მაინც აპლიკაციის შევსება...

ხათუნა რაზმაძე
თბილისის წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

საოცრად ამაღელვებელი და გამორჩეული განცდა დამეუფლა, როდესაც ჩემი გვარი მოვისმინე მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა შორის. პირველი ემოციები მინდა შევადარო უჩვეულო „ტროპიკულ კოქტეილს“, სადაც სიხარულის, ბედნიერების, მადლიერების, გამარჯვების, შრომის დაფასების, მოლოდინის დასრულების და ჩემი პროფესიის სიყვარულის განმტკიცების ემოციები ერთურთს სცვლიდა. ეს ის წამია, რომელიც გინდა რომ შეაჩერო და ხმამაღლა წამოიძახო: „შეჩერდი წამო, შენ მშვენიერი ხარ“.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ ყველაზე მეტად გამოხატავს პროფესია მასწავლებლის დაფასების, ამ პროფესიის პრესტიჟულობის გაზრდისა და პოპულარიზაციის ეტაპებს. ხელს უწყობს წარმატებული მასწავლებლების აღმოჩენას, მათი უნიკალური შესაძლებლობების გამოვლენასა და საზოგადოების წინაშე წარდგენას. ვიყო „ეროვნული ჯილდოს“ მფლობელი ჩემი საყვარელი საქმიანობის წარმოსაჩენად – მართლაც რომ საპასუხისმგებლო და, ამავდროულად, საამაყო საქმეა ჩემთვის. სიტყვა „ეროვნული“ – ეს სახელწოდებაც კი, ცალკე აღებული, ტანში ჟრუანტელს მგვრის, რადგან ამ საერთო გლობალიზაციის პროცესში, გამორჩეულად გაქცევს. ჩემთვის ამ კონკურსში მონაწილეობა და ათეულში მოხვედრა უდიდესი ძალის მომნიჭებელი განცდაა, რომელიც გაჟღენთილია პროფესიისადმი სიყვარულით, იმედებით, წინსვლით... ეს ის „ნაპერწკალია“, რომელიც სხვა მასწავლებლებში გამოიწვევს ამ პროფესიის დაფასება-აღიარებას, რაც შესაძლოა უფრო დიდ და სასიამოვნო ენერგიად იქცეს მომავალი თაობისთვის.

„მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება“ ჩემი უნივერსალური მიდგომათაგანია. განსაკუთრებით მხიბლავს და მომწონს ისეთი სახის მრავალფეროვანი, სასწავლო-შემეცნებითი, საგანთა ინტეგრირებით მიღებული, არაორდინარული მეთოდების, აქტივობებისა თუ სტრატეგიების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მრავალმხრივ ზრდა-განვითარებას. ამ ტიპის გაკვეთილებზე ყველა მოსწავლე ხალისით არის ჩართული „აქტიურ სწავლაში“, თავისდაუნებურად ხდება იმ თავგადასავლებისა და ფანტასტიკური ჟანრის თანამონაწილე, რომელსაც მათემატიკის გაკვეთილებზე ვთავაზობ. ჩემი მიზანია, შევარჩიო ისეთი გამორჩეული სახის დავალებები, რომელიც მამოტივირებელი, განწყობის ასამაღლებელი და სწავლისადმი სიყვარულის გამღვივებელი იქნება თითოეული მათგანისთვის. ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად ირგებს სხვადასხვა საგმირო პერსონაჟთა როლს და ამაღლებული განწყობით თუ „გმირული სულისკვეთებით“ ასრულებს იმ შეთავაზებულ მათემატიკურ გამოთვლებს, ამოცანებსა და გამოსახულებებს, რომელთა პასუხიც მიიყვანს პერსონაჟის გამარჯვებამდე. კონკრეტული გაკვეთილის ფარგლებში, საინტერესო სათავგადასავლო ჟანრიდან შემოჭრილი „დაბრკოლებისა თუ პრობლემის“ დაძლევის გზების ძიება საგაკვეთილო პროცესს აქცევს ნამდვილ ინტელექტუალურ გამოწვევად, მათემატიკას წარმოაჩენს უჩვეულოდ საინტერესო საგნად. თითოეულ გაკვეთილზე ორიენტირებული ვარ, რომ ხელი შევუწყო მოსწავლეებში ისეთი მნიშვნელოვანი და საჭირო უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი სახის უნარები და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

კონკურსში მონაწილეობის მიღებას სამი მნიშვნელოვანი საფუძველი უძღვის წინ:

1. ამ პროექტის სახით, ახალი, მიმზიდველი და უჩვეულო სათავგადასავლო მოგზაურობა მელის, რომელიც დამეხმარება როგორც პროფესიულ ზრდა-განვითარებაში, ასევე საინტერესო ადამიანების აღმოჩენაში;

2. მინდა პოპულარიზაცია გავუწიო მასწავლებლის პროფესიას. იქნებ ჩემი მცირე წვლილი შევიტანო პროფესიის არჩევანში და გავხდე ბიძგის მიმცემი ახალგაზრდა თაობისთვის, რადგან მე მჯერა, რომ: „ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს, ერთ წიგნს და კალამს შეუძლია მსოფლიოს შეცვლა“;

3. ჩემი მეხუთე შვილი გახლავთ შშმ პირი, სრული სიყრუის დიაგნოზით. შვილის არსებული მდგომარეობის გათავისება, უკეთესი გარემოს შექმნა და მსგავსი დიაგნოზის მქონე ბავშვების ცხოვრების გამრავალფეროვნება, სწორედ ეს გახდა ჩემი ცხოვრების უმთავრესი მიზანი. მსურს, დავაარსო არაფორმალური განათლების ცენტრი „ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის“.

ამ კონკურსში მონაწილეობა და გამარჯვება ოცნებად ქცეული მიზნის განხორციელებაში დამეხმარება.

სოფიო ბაჩილავა
თბილისის კერძო სკოლა „ოპიზას“ მოქალაქეობის, სამოქალაქო განათლების და „მე და საზოგადოების“ მასწავლებელი

ძნელია იმ ემოციის აღწერა, რომელიც ვიდეოს ნახვის შემდეგ მქონდა. ბუნებრივია, ველოდებოდი როდის დაიწყებოდა გამოცხადება, რაც უფრო ახლოვდებოდა დრო, მით უფრო ვკარგავდი მოსვენებას. ერთი პირი ისიც ვიფიქრე, გავალ სახლიდან და საღამოს დავბრუნდები, მაშინ როცა უკვე გამოცხადებული იქნება შედეგები-მეთქი, თუმცა მაინც დავრჩი. ჩემი გვარიდან გამომდინარე, პირველი გამომაცხადეს და მახსოვს, რომ წამიერად ვერც კი აღვიქვი, რომ მე ვიყავი. მერე სიხარული, დაბნეულობა, შიში ერთად ვიგრძენი. ამასობაში ვიდეოში ქალბატონი ზეინაბ კაკალაშვილი გამოჩნდა, ჩემი კოლეგა, რომლის დანახვაც ძალიან გამიხარდა, მაშინვე მივწერე, გილოცავთ-მეთქი, ჯერ ვერ მიხვდა რას ვულოცავდი, შემდეგ კი გავიზიარეთ ერთმანეთის სიხარული. საბოლოოდ, იმაზე მეტად განვიცადე, ვიდრე წარმოვიდგენდი, სახლში მარტო ვიყავი და მობილურზე ნომრის აკრეფას ვერ ვახერხებდი ისე მიკანკალებდა ხელები.

ექვსი წელია მასწავლებელი ვარ. ამ დროის განმავლობაში მქონდა როგორც წარმატებები, ასევე, ბუნებრივია, გამოწვევები, რომელთა დასაძლევად მუდმივად ვცდილობ განვვითარდე და მოვძებნო ახალი გზები. გასაუბრებაზე მაქსიმალურად გულწრფელი ვიყავი, ჟიურის წევრებს გავაცანი ჩემი საქმიანობა, ღირებულებები, დამოკიდებულება, რომელსაც მოსწავლეებთან მუშაობისას ვიყენებ. ვისაუბრე დაბრკოლებებზე, მათი გადაჭრის გზებსა ან ჯერ კიდევ პასუხგაუცემელ კითხვებზე.

მჯერა, რომ თითოეულ ადამიანს აქვს ნიჭი, ძლიერი მხარეები, რომელიც შეუძლიათ ცხოვრებაში გამოიყენონ. სკოლაში მუშაობისას სწორედ ესაა ჩემთვის მთავარი. მინდა, რომ მოსწავლეებმა აღმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები, ჰქონდეთ რწმენა, რომ გარემოს უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლიათ და თანაც იცოდნენ, როგორ მოახერხონ ეს.

ეროვნული ჯილდოს ათეულში ყოფნა ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. ზოგადად, ჩემი აზრით, ეროვნული ჯილდო არის შესაძლებლობა საზოგადოებამ უკეთ გაიცნოს ჩვენი პროფესია, პედაგოგების საუკეთესო პრაქტიკა

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

და ეს ყველაფერი, თავის მხრივ, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზებას უწყობს ხელს.

ლამარა ბოლქვაძე
მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისისა და კასუმლოს საჯარო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

პედაგოგებს მოსწავლეები, მშობლები, დირექცია, თემი, ქვეყანა თუ მსოფლიო უამრავ, ხშირად სრულიად განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ. რთულია მათთან „გამკლავება“, ზრუნვა თუ დაკმაყოფილება, მით უფრო ისე, რომ საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ შეგეპაროს და თავი გრეგორი ზამზას გამოგონილ მწერად არ იგრძნო. ჯილდო კი, ალბათ, მასწავლებლისთვის ახალი ძალა შეიძლება იყოს, ძალა, რომელიც არა მხოლოდ აღნიშნულ მოთხოვნებთან გამკლავებაში, არამედ იმდენად ძლიერად დარჩენაში დაგვეხმარება, რომ მოსწავლეების, თემის თუ სხვათა უანგარო ერთგულება შევძლოთ.

როცა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულში საკუთარი სახელი და გვარი ამოვიკითხე, თავდაპირველად გამიხარდა. შემდეგ ავღელდი. ასე მგონია, ორმაგი პასუხისმგებლობა დავაკისრე საკუთარ თავს, პასუხისმგებლობა, რომელიც მავალდებულებს, რომ იმ გზიდან, რომელმაც აქამდე მომიყვანა, არასოდეს გადავუხვიო. გამოვტყდები და ცოტათი მეშინია კიდეც.

რატომ ჩვენ? მიმაჩნია, რომ მე, ჩემი მოსწავლეები, კოლეგები, მშობლები – ყველანი მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრები ვართ.

მგონია, რომ ჟიურის ყურადღება, უპირველესად, არაფორმალური განათლებით მივიქციეთ.

როდესაც მარადისში, 2004 წელს, სკოლა გაიხსნა, არანაირი რესურსი არ არსებობდა სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებისათვის. მე და ჩემმა მოსწავლეებმა დავწერეთ პროექტი, მოვიპოვეთ 3000 დოლარი, რომლის საშუალებითაც სკოლამ ტექნიკა და სხვადასხვა რესურსი შეიძინა.

მონაწილეობა მივიღეთ პროექტში „ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისათვის“. პროექტის განხორციელებისათვის გადმოგვეცა 400 ევრო. შევიძინეთ ძალადობის თემაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურა და კომპიუტერი. მოვიწვიეთ იურისტები, რომლებმაც მშობლებსა და ბავშვებს ბავშვთა უფლებები გააცნეს. დავდგით სპექტაკლი „ჩიტების გამომზამთრებელი“. დავწერეთ სცენარები ძალადობის თემაზე.

ჩემი და მოსწავლეების ინიციატივით, მარადისისა და კასუმლოს სკოლებში შეიქმნა გარემოსდაცვითი კლუბები. ორივე სკოლა ჩაერთო ნიკო კეცხოველის სასკოლო კონკურსში. ერთად განვახორციელეთ სამასზე მეტი აქტივობა. კასუმლოს სკოლის მოსწავლეები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რჩეულ გუნდად დაასახელა, ხოლო მარადისის სკოლა ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2018-ის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა და ავსტრია-სლოვაკეთშიც იმოგზაურა. 2019 წელს მარადისის სკოლა იყო ქვემო ქართლის ჩემპიონი და კონკურსის ფინალისტი. ამ პროექტმა დაამეგობრა აზერბაიჯანელი და ქართველი მოსწავლეები. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეები იმყოფებოდნენ ბულაჩაურისა და ანაკლიის ბანაკებში, სადაც უამრავი მეგობარი შეიძინეს. ორივე სკოლა მაკულატურის კონკურსის გამარჯვებულია. პანდემიამ, სამწუხაროდ, დროებით შეუშალა ხელი კასუმლოელი და მარადისელი მოსწავლეების თანამშრომლობას.

ჩვენ მოვიპოვეთ დაფინანსება (1500ლ) და, თანასოფლელთა დახმარებით, სკოლის ტერიტორიაზე ავაგეთ სათბური. უკვე ორი წელია, ბოსტნეული მოგვყავს და გვაქვს საკუთარი ბიუჯეტი. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის მოპოვებული 800 ლარით სოფლის მოედანი განვაახლეთ; როდესაც ჩვენმა თანასოფლელმა დაფინანსება მოიპოვა სკვერისათვის, სამწუხაროდ, ის არ ითვალისწინებდა გამწვანებას. მე და ჩემმა მოსწავლეებმა მოვუწოდეთ მოსახლეობას, რომ თითოეულს დაერგო „სახელის ხე“. ასე გაჩნდა სკვერში 200-მდე დეკორატიული მცენარე. „დეკორატიული მცენარეების ასოციაციასთან“ გავაფორმეთ მემორანდუმი და, ექვსი თვის განმავლობაში, მე და ჩემი მოსწავლეები ვსწავლობდით დეკორატიული ბაღის მოვლას. ვისწავლეთ ყვავილების დაკალმება და თესვა-მოყვანაც. მემორანდუმის ფარგლებში, ასოციაციამ 2000 ლარის მცენარეები დარგო სკვერში და ბაღის მოვლისათვის აუცილებელი ნივთები გადასცა მოსწავლეებს. ამჟამად 4000-ზე მეტ დეკორატიულ მცენარეს ვუვლით. ასოციაცია სოფლის მოსახლეობასთანაც დავაკავშირეთ და ახლა, მეწარმე ქალებთან ერთად, უვნებელი ბოსტნეულის მოყვანას ვსწავლობთ. სკოლის ტერიტორიაზე გვაქვს სადემონსტრაციო ნაკვეთი იშვიათი ბოსტნეულით.

ორგანიზაციამ „ტურიზმი და რეალობა“ ჩვენი პროექტი 700 ლარით დააფინანსა, რითაც ორი ათასზე მეტი ყვავილი დავთესეთ. მე და ჩემმა მოსწავლეებმა გავიმარჯვეთ „მომავლის ფერმერის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ჩემი ბოსტანი სჯობია შენსას“. მოსწავლეებს საჩუქრად „ბიბლუსის“ ვაუჩერები გადაეცათ. ბავშვებმა უარი თქვეს საჩუქარზე, 900 ლარის წიგნები შევიძინეთ, ძველი მერხებისგან ორიგინალური თაროები დავამზადეთ და სასოფლო ბიბლიოთეკა გავხსენით.

„ახალგაზრდული იდეების კონკურსში“ გამარჯვებამ (დაფინანსება – 3000ლ) საშუალება მოგვცა, სოფლად არსებულ უფუნქციო, საწყობის ტიპის შენობაში, რომელიც საკუთარი სახსრებითა და მეწარმე ქალების შემოწირულობებით გავარემონტეთ, გაგვეხსნა კინოკლუბი. საღამოობით ფილმებს სიამოვნებით უყურებენ დიასახლისი ქალები. აღნიშნულ სივრცეს საგანმანათლებლო მიზნითაც ვიყენებთ. პანდემიის დასრულების შემდეგ გვინდა, ეს სივრცე აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი მოსწავლე ახალგაზრდების დამეგობრების ადგილად ვაქციოთ.

ვითანამშრომლეთ ფონდ „ტასოსთან“ და მოვიპოვეთ დაფინანსება სკოლის ეზოს გასამწვანებლად, გამწვანების პროექტი დააფინანსა მარნეულის მერიამაც. ფონდი „ტასო“ დავაკავშირეთ დიასახლის ქალებთან. კარდაკარ ჩამოვიარეთ და ყველას ვარწმუნებდით, რომ ეთანმშრომლათ ამ ორგანიზაციასთან და განეხორციელებინათ პროექტები. ათი ქალის დარწმუნება შევძელით. მივეცით რჩევები, როგორ დაეწერათ პროექტები, რამდენიმეს განაცხადის შევსებაშიც დავეხმარეთ, დაფინანსდა ათი პროექტი და ახლა სოფელს საკმაოდ ცნობილი მეწარმე ქალები ჰყავს, რომლებიც ჩვენთან ერთად ახორციელებენ აქტივობებს.

ვართ „ფერმერთა ასოციაციის“ კონკურსის გამარჯვებულები. მოტობლოკმა უფრო გააიოლა სათბურში საქმიანობა.

ჩვენ მოვიპოვეთ დაფინანსება მეორეული ნივთების გასაახლებლად. სარეცხი მანქანის შიგთავსისგან დამზადებული ნაგვის ურნა მე-7 კლასის სამოქალაქო განათლების წიგნში მოხვდა, როგორც გუნდური მუშაობის საუკეთესო ნიმუში.

ჩემი ინიციატივით, შეიქმნა მკითხველთა, დებატების და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კლუბები, რომელთა ხელმძღვანელებად მარადისელი სტუდენტები მოვიწვიეთ. კლუბების წევრები როგორც ქართველი, ასევე აზერბაიჯანელი მოსწავლეებიც არიან. დავიმეგობრეთ „რუსთავის ინოვაციების ჰაბი“, რომელიც სამაგიდო ინტელექტუალურ თამაშებს აწყობს მოსწავლეთათვის.

რატომ ჩვენ?

დარწმუნებული ვარ, ჟიურის ყურადღებას მიიქცევდა ჩვენი საქველმოქმედო აქტივობებიც.

მარადისის სკოლის მოსწავლეებმა სამჯერ გამართეს საქველმოქმედო ფესტივალი, რომელშიც სოფლის მოსახლეობა, მეგობარი სკოლები და პარტნიორი ორგანიზაციები მონაწილეობდნენ. ფესტივალზე იყიდება მოსწავლეების სათბურში მოყვანილი ბოსტნეული და ყვავილები, ხელნაკეთი ნივთები, მეორეული ნივთებისგან დამზადებული ახალი ნივთები, ნაქსოვები. შეგროვებული თანხა ქველმოქმედებაში იხარჯება.

პანდემიის დროს, როცა არა მარტო მარნეული, არამედ მარადისიც ჩაიკეტა, ჩვენი სამეწარმეო საქმიანობით 2000 ლარზე მეტი გავეცით მიუსაფარი მოხუცების, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების, სოციალურად დაუცველებისა და მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად. შევიძინეთ სათამაშოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორი ბავშვისთვის. ოჯახს, რომელთა ცხრა შვილს ერთ საწოლში ეძინა, შევუგროვეთ საყოფაცხოვრებო ნივთები, მათ შორის საწოლები, ლეიბ-საბნები, რძის პროდუქტები, ბოსტნეული და ხილი.

ბოსტნეული და რძის პროდუქტები გადავეცით ბავშვებს, რომელთა დედასაც კორონა დაუდასტურდა; მედიკამენტები და საკვები პროდუქტები მივუტანეთ უპატრონოდ დარჩენილ მოხუცს და მისი მოვლა-პატრონობაც საკუთარ თავზე ავიღეთ (მოხუცი ახალქალაქელმა ნათესავებმა წაიყვანეს).

სულ ახლახან, საგაზაფხულო ფესტივალზე, ათას ხუთასი ლარის ყვავილები და ნივთები გავყიდეთ. 500 ლარი ლოგინად ჩავარდნილი ახალგაზრდა ქალის დედას გადავეცით შვილის სამკურნალოდ, 400 ლარი – ლეიკემიით დაავადებული ბავშვის ოჯახს, 300 – მარტოხელა დედას, დარჩენილი თანხითა და ზაფხულის შემოსავლებით მოვემზადებით საშემოდგომო ფესტივალისთვის.

რატომ ჩვენ?

ჟიურის ყურადღება, სავარაუდოდ, ჩვენმა სამომავლო მიზნებმაც მიიქცია. გვსურს, რომ სოფელში გავხსნათ კაფე-ორანჟერეა, რომლის არსებობაც აგროტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. გვინდა, რომ ადამიანებს ეგულებოდეთ ადგილი,სადაც მშვიდ გარემოში შეძლებენ მუსიკის მოსმენას, დასვენებას, გართობას, სასურველი ფილმის ნახვას, ტრენინგების ორგანიზებას, გამოფენის მოწყობას, მეწარმე ქალებთან შეხვედრას, მოსწავლეების სათბურის დათვალიერებასა და აჭარული კერძების დაგემოვნებასაც. გვინდა, ყველას გავაცნოთ ოცი წლის ისტორიის მქონე მარადისი – მარადიული სოფელი, რომელშიც ცხოვრობს ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი, რომელსაც სურს, რომ სამყარო ხვალ იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე იყო გუშინ.

რატომ ჩვენ?

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო“. საკუთარი თავის შეცნობაში ლიტერატურა უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს. მეც ვცდილობ, მოსწავლეები მკითხველებად ვაქციო, საზოგადოების წევრებად, ისეთ მოქალაქეებად, რომლებსაც ყველა სირთულესთან შეჭიდება და გამკლავება შეეძლებათ. მოსწავლეებმა „იგის“ გზაც უნდა გაიარონ და იანგულისაც, შვლის ნუკრის ტკივილიც უნდა იგრძნონ და ალუდას ზნეობითაც უნდა მოიხიბლონ.

მოსწავლეებმა ფიქრი, აზროვნება, კითხვების დასმა, პასუხების მოძიება, სხვისი აზრის პატივისცემა, დისკუსიის წარმართვა, დებატებში ჩართვა და აზრის თავისუფლად გამოთქმა უნდა შეძლონ. ამიტომაც ვთხოვ მათ, რომ დაფიქრდნენ, გააანალიზონ, შეაფასონ, იმსჯელონ მწერლის სათქმელზე, საკუთარ თავს ჰკითხონ, რა გაიგეს წაკითხული ეპიზოდიდან და, საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა მიუბრუნდნენ წაკითხულს; მისწერონ მათთვის საინტერესო პერსონაჟს წერილი; თვითონ ეწვიონ და პერსონაჟებიც აწვიონ გმირებს. უკვე შესწავლილი და დასრულებული ნაწარმოების გაგრძელებაც მოიფიქრონ და გამოიგონონ პერსონაჟებიც, რომლებსაც მხატვრულად დაახასიათებენ და აამეტყველებენ კიდეც; ტექსტის შესწავლისას ისტორიული კონტექსტიც გაითვალისწინონ და ისაუბრონ ზნეობრივ ღირებულებებზე; თვითონაც შექმნან მხატვრული ტექსტი, თავისუფლად გამოხატონ გრძნობები და ემოციები; გადააკეთონ ნაწარმოები პიესად, მოიფიქრონ დეკორაციები და ითამაშონ როლები (პანდემიამდე ორივე სკოლაში, მე და მოსწავლეებმა, პიესად გადავაკეთეთ და წარმოვადგინეთ სპექტაკლები: „ლუარსაბი და დარეჯანი“, „ცხრა შეკითხვა სიყვარულის შესახებ“, „ვარსკვლავ-ბიჭუნა“, „ჩიტების გამომზამთრებელი“, „სიყვარულო ძალსა შენსა“, „ქართული ოჯახი და ბარბარიზმები“, „სიბრძნე-სიცრუისა“ და სხვა), შექმნან „მკითხველთა თეატრი“ და მოთხრობები წაუკითხონ პატარებს. თუ სიტყვებით არ შეუძლიათ, ნახატებით გვითხრან თავიანთი სათქმელი და პერსონაჟის შესახებაც ნახატებით გვიამბონ. არჩევანის თავისუფლება უმთავრესია და მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ სათქმელის გამოხატვა ნებისმიერი ფორმით შეუძლია.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი იდეალურადაა, რომ გაკვეთილზე ყოველთვის ვაღწევ მიზანს, რომ ყველა მოსწავლის გულამდე მისასვლელ გზას ვპოულობ, რომ სასოწარკვეთილსა და აცრემლებულს არასოდეს დამიტოვებია კლასი, რომ არასოდეს ვმდგარვარ დილემის წინაშე და არასოდეს მოვქცეულვარ არასწორად. ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი ვარ, მასწავლებელი დამარცხებებითა და გამარჯვებებით.

ზეინაბ კაკალაშვილი
თელავის №5 საჯარო სკოლის „მე და საზოგადოების“ და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

რატომ გადავწყვიტე ასეთ მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო კონკურსში მონაწილეობა?.. მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარმადგინა სკოლის კურსდამთავრებულმა მოსწავლე გვანცა მოლაშვილმა, რომელიც განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ცოდნის ცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარეა. მოსწავლეების, ჩემი კოლეგების და მეგობრების, ასევე, საზოგადოების მხრიდან დიდი ხნის თხოვნის შემდეგ, დავთანხმდი მონაწილეობაზე.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულში მოხვედრა, ამ სიხარულის სიტვებით გადმოცემა ძალიან რთულია, სასიამოვნო განცდაა, დიდ სიხარულთან ერთად, დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა საუკეთესო მასწავლებლების გვერდით ყოფნა. ყველა ღირსეულ, შრომისმოყვარე პედაგოგს ვუსურვებ ამ ემოციის განცდას.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსის დაფუძნებამ მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზებას და მის მიერ გაწეული შრომის შედეგების შეფასებასა და დაფასებას შეუწყო ხელი. როდესაც კვალიფიციური ექსპერტები და განათლების სპეციალისტები, საზოგადოება აღიარებენ შენს საქმიანობას, მასწავლებლისთვის ამაზე დიდი სტიმული რაღა უნდა იყოს. კონკურსში მონაწილეობით, დიდ გამოცდილებასთან ერთად, საუკეთესო კოლეგები, ადამიანები შევიძინე.

მოგეხსენებათ, COVID-19-ის პანდემიის გამო, დროებით, უარის თქმა მოგვიწია ცხოვრების ჩვეულ სტილსა და რიტმზე. ეს, რა თქმა უნდა, სასკოლო ცხოვრებაზეც აისახა და დიდი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. ჩემ მიერ გამოყენებული ციფრული ინსტრუმენტები დამეხმარა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას.

ჩემი გამორჩეული მეთოდი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენებაა პირისპირ და ონლაინ სწავლების დროს. მოსწავლეებთან ერთად, დავიწყე სხვადასხვა რესურსის შექმნა, მაგალითად: wakelet.com, learning.apps, Forms Screenapp.io და biteable.com, Bandicam, Teams და ა.შ. ისინი საუკეთესო თანატოლ განმანათლებლები გახდნენ, შეიძინეს საჭირო უნარები ციფრულ სამყაროში წარმატების მისაღწევად. ამ მეთოდით სწავლებამ ხელი შემიწყო ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესში; ასევე, ონლაინ სწავლებისასაც, ფორმალურ განათლებასთან ერთად, არაფორმალურ განათლებასაც ვუწყობდი ხელს.

მე სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის კახეთის რეგიონის საბჭოს თავმჯდომარე ვარ უკვე 10 წელია. ამ ხნის განმავლობაში პედაგოგების პროფესიული განვითარებისთვის ტრენინგებს ვატარებ, ვიკვლევ მათ საჭიროებებს და შესაბამისად, ვეხმარები პროფესიულ წინსვლაში, ორგანიზებას ვუკეთებდი ონლაინ გაკვეთილების ჩატარებას, პროფესიული გაზიარების ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებასა და წარმართვას და ა.შ. წლების განმავლობაში ფასილატაციას ვუწევდი სკოლის პედაგოგებს როგორც ახალი მიდგომების დანერგვაში, ასევე, სქემის ფარგლებში – საკუთარი ცოდნის გაზიარებას მათი საჭიროებიდან გამომდინარე.

კვლევა

სასკოლო განათლების ოცდაათწლიანი ისტორია

ლალი ჯელაძე

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ძალიან საინტერესო კვლევის „სასკოლო განათლების ისტორია: 1990-2020“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც პირველი თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მცდელობაა, მოუყვე საზოგადოებას განათლების 30-წლიანი თავგადასავალი საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან დღემდე. ისტორია საკმაოდ რთული პერიოდიდან იწყება და იმ მოვლენებს აღწერს, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ზოგადი განათლების პოლიტიკის შექმნასა და განვითარებაზე დამოუკიდებლობის პერიოდში.

ნაშრომზე მუშაობა მკვლევრების ჯგუფმა – **გიორგი ჭანტურიამ**, **მერი ქადაგიძემ** და **გიორგი მელიქიძემ** – ორი წლის წინ, როგორც თავად ამბობენ, საკმაოდ მცირე რესურსითა და სკეპტიკური შეხედულებებით დაიწყეს, თუმცა, საქმე იმდენად საინტერესოდ ჟღერდა და საჭიროებაც ისეთი დიდი დაინახეს, რომ გადაფიქრება ან საქმის მასშტაბის შემცირება არც უფიქრიათ.

„სასკოლო განათლების ისტორიის შესახებ კვლევითი ნაშრომის შექმნა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საჭირო პროექტი იყო, რაზეც მე პირადად მიმუშავია. მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი წიგნი არის არა მხოლოდ ხანგრძლივი კვლევის პროდუქტი, არამედ ერთგვარი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეხმარება ამ სფეროში ჩართულ ყველა მხარეს სიღრმისეულად, თანმიმდევრულად შეისწავლოს, გააანალიზოს თითოეული პროცესი და განაგრძოს როგორც წარსული ფაქტების აღწერა, ასევე მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და აღწერა,“ – ამბობს განათლების კოალიციის დირექტორი გიორგი ჭანტურია. ის გვიამბობს, რომ იდეაც მოულოდნელად, ერთ-ერთ შეხვედრაზე გაჩნდა, სადაც გია მურღულიამ თქვა, რომ არაფერი ვიცით და არც გვაქვს გააზრებული ჩვენი განათლების სისტემა, ამიტომაა ვერც შეცდომებიდან ვერ ვსწავლობთ რამესო. *„ზუსტად იმ მომენტში დავფიქრდი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ საქმეს ხელს მოვკიდებდით. გავუზიარე ჩემს მეგობრებს და დავიწყეთ ფიქრი. პირველ რიგში, უნდა გვენახა, მართლაც რა არის შესწავლილი და რაც არ არის, მერე შეგვევსო. აღმოვაჩინეთ, რომ, ფაქტობრივად, ბევრი არც არაფერია შესწავლილი. ამიტომ სულ თავიდან უნდა დაგვეწყო.“*

მერი ქადაგიძე გვიყვება, რომ ენთუზიაზმით კი დაიწყეს, მაგრამ პროცესში მალევე აღმოაჩინეს, რომ ძალიან რთულ საქმეს შეეჭიდნენ: *„პირველი სირთულე იყო ის, რომ რაღაც სისტემა გვჭირდებოდა იმისთვის, რომ თავი მოგვეყარა ფაქტებისთვის, მოვლენებისთვის, ამბებისთვის. შევხვდით სპეციალისტებს, ექსპერტებს, ადამიანებს, რომლებიც ერკვევიან განათლების სფეროში და, უბრალოდ, ვთხოვდით ყველას – მოგვიყევით, რა გახსოვთ, რა ხდებოდა ამ პერიოდის განათლების სისტემაში. მაგრამ როცა ინფორმაციის შევსება დავიწყეთ, მივხვდით, რომ არც ეს არ იყო საკმარისი და გვჭირდებოდა მკაფიო ჩარჩო – დროის ხაზზე მკაფიო მოვლენები უნდა გამოგვეყო და იმასაც მივხვდით, რომ ეს მოვლენები იყო პოლიტიკური და, ასე ვთქვათ, ჩვენი ისტორიაც განთავსდა დროით ღერძზე, ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების გასწვრივ.“*

გიორგი ჭანტურიასთვის ყველაზე საინტერესო განათლების სამინისტროს არქივში მუშაობა აღმოჩნდა. მადლიერებით იხსენებს არქივის თანამშრომლის, ციური გიორგაძის თანადგომას, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, აქტიურად იყო ჩართული სამუშაო პროცესში.

სამინისტროს არქივთან ერთად, ჯგუფს მუშაობა მოუწია ეროვნულ არქივშიც, სადაც მხოლოდ 2000 წლამდე არსებული ინფორმაციაა დაცული. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, დოკუმენტაციის გამოთხოვა საკმაოდ ძვირადღირებული სერვისია და იქვე გააკეთეს მინიშნება, რომ თუ ეს პროცესი დარეგულირდება, ამით გაცილებით ხელმისაწვდომი გახდება კვლევის პროცესი.

კვლევაში, ასევე, აქტიურად იყვნენ ჩართულები განათლების მკვლევრები: **თამუნა ბრეგვაძე**, **სიმონ ჯანაშია**, **რეზო აფხაზავა**, **ნუცა კობახიძე**. მასალების მოძიებაში დიდი წვლილი შეიტანა „პუბლიკის“ რედაქტორმა, **ლიკა ზაკაშვილმა**. პრეზენტაციაზე გიორგი ჭანტურიამ მადლობა გადაუხადა მკვლევრებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ენთუზიაზმით შეხვდა მათ იდეას და ჩაერთო კვლევის პროცესში. განსაკუთრებული მადლობა კი, **ირინა ხანთაძეს** გადაუხადეს, რომელიც *„ყოველთვის გვიმაგრებდა ზურგს ნებისმიერი წამოწყებისთვის“*. ნაშრომი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, პირადად გიორგი კეკელიძის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა. წიგნის გარდა, ჯგუფის ინიციატივით, გაკეთდა დოკუმენტური ფილმი იმავე სახელწოდებით, რომლის რეჟისორი და სცენარის ავტორი თომა ჩაგელიშვილია. ფილმის ჩვენება პრეზენტაციის დასასრულს გაიმართა, ძალიან საინტერესო აქცენტებით და მნიშვნელოვანი ინტერვიუებით. განათლების 30-წლიანი ისტორია, მნიშვნელოვანი მასალაა ამ პერიოდის განათლების სისტემის გასააზრებლად. ვიდრე უშუალოდ ამ პერიოდის მიმოხილვაზე გადავალ, გეტყვით, რომ წიგნში თავმოყრილ მასალას ახლავს პატარა პრეისტორია – საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მიმოხილვა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში – 1921-1991 წლებში (საბჭოური სკოლები 1920-იან წლებში; ერთიანი საბჭოთა სკოლის ჩამოყალიბება 1930-იან წლებში; საბჭოთა სკოლის „ექსპერიმენტები“ 1940-იან წლებში; ომისშემდგომი საბჭოთა სკოლის სტაბილიზაცია 1950-იან წლებში.), რომელიც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, **გიორგი გახელაძემ** მოამზადა.

„1921 წლისთვის, საქართველოში, სხვადასხვა მონაცემებით, 2000-მდე სკოლა არსებობდა და ამ დროისთვის საქართველოში არსებობდა ერთკლასიანი (სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი), ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლები, უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები, ქალთა ხუთწლიანი სასწავლებლები, გიმნაზიები, მათ შორის 2 ქართული: თბილისის და ქუთაისის), პროგიმნაზიები, რეალური სასწავლებლები, სამასწავლებლო, სასულიერო, სამრევლო და სხვა სასწავლებლები. საქართველოს ყველა ტიპის (1677 დაწყებითი სკოლა) სკოლაში 157 100 მოსწავლეს 5858 მასწავლებელი ასწავლიდა. აქედან, სკოლების უმრავლესობა იყო ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საკუთრება, ცენტრალური ხელისუფლების ერთიანი ზედამხედველობის ქვეშ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაანგარიშებით, საყოველთაო დაწყებითი განათლების განსახორციელებლად საჭირო იყო დამატებით 700 სკოლის გახსნა, სადაც 110 900 მოსწავლე ჩაირიცხებოდა. ასეთი მემკვიდრეობა დახვდა საბჭოთა ოკუპირებულ მთავრობას საქართველოში“ (ამონარიდი ნაშრომიდან).

ცხადია, ნაშრომი ზოგადი განათლების პოლიტიკის ფორმირების აღწერის მიზნით შეიქმნა და შესაბამისად, წარმოდგენილია სასკოლო განათლების განვითარების სრული სურათი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღმდე და აღწერს იმ მოვლენებს, რომლებმაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოლიტიკის შექმნასა და განვითარებაზე. თუმცა, მკვლევართა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ერთ წიგნში ყველა ფაქტორისა და მოვლენის სიღრმისეული აღწერა, შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია ავტორების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეული პროცესები, ხოლო ყოველი პროცესის აღწერის სიღრმე განპირობებულია ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაოდენობითა და ხარისხით. ამ მოვლენებსა და ფაქტებს შორის კი, ყველაზე მთავარ და გარდამტეხ ფაქტებზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

საბჭოური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებულ, შინაარსით ეროვნულ სკოლაზე ფიქრი ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე იწყება. ქართული სკოლის იდეის ხორცშესხმისთვის პირველი ნაბიჯები 80-იან წლებში დაწყებული ეროვნული მოძრაობის ფონზე იგეგმებოდა, რომელსაც, თავის მხრივ, ბიძგი ცნობილმა 1978 წლის მოვლენებმა მისცა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და განათლების სექტორის დაფინანსება 1991-94 წლებში მკვეთრად შემცირდა – 1994 წელს 1%-ზე ნაკლები შეადგინა. ამის შემდგომ იწყება, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობის მიერ წამოწყებული რეფორმა და სტრუქტურული ცვლილებები, რომელმაც გზა გაუხსნა კერძო სექტორის განვითარებას. 2003 წლიდან კი, ქვეყანაში იწყება რეფორმების ახალი ტალღა. თუმცა, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, დამოუკიდებლობის პირველ წლებში განათლების სისტემის შესახებ არსებული მონაცემები გაფანტული და არასრულია.

1993 წლამდე, სისტემაში, განათლების 5 მინისტრი შეიცვალა, განათლების რეფორმის კონცეფციაზე მუშაობა კი კოტე გაბაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო.

რა გამოწვევების წინაშე დადგა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განათლების სისტემა? სიმონ ჯანაშია ამბობს, რომ ერთ-ერთი პირველი პრობლემა განათლების პოლიტიკაში იყო ის, რომ საქართველო, საბჭოთა კავშირის განმავლობაში, როგორც სახელმწიფო, არ ფუნქციონირებდა, ამიტომ გაჩნდა საჭიროება, შექმნილიყო დამოუკიდებელი სტრუქტურები, რომელიც იმუშავებდა, როგორც საკუთარი სახელმწიფოს პოლიტიკის გამტარებელი. განათლების მკვლევარი იხსენებს წლებს, როცა მასწავლებლებს და ბავშვებს სკოლაში მოაქვთ შეშა, როცა მასწავლებლებს 13-14 თვე არ აქვთ ხელფასი აღებული: *„ამ პერიოდის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ არის კორუფცია და არაფორმალური შემოსავლები. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ, პრინციპში, გარკვეულწილად, სწორედ ამან გადაარჩინა განათლების სისტემა იმიტომ, რომ მასწავლებლების ანაზღაურება მინიმალური იყო და, ძირითადად, მათი შემოსავალი დამოკიდებული იყო დამატებით, კერძო და არაფორმალურ შემოსავლებზე... ეს დადებითი მხარე თითქოს ჰქონდა იმ კატასტროფას, რომელიც მოჰყვა სახელმწიფოს უუნარობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამან გააჩინა უზარმაზარი უსამართლობა და უთანასწორობა...*

90-იანი წლების მეორე ნახევარში საჯარო სკოლებში უკვე ჩნდება მნიშვნელოვანი ინოვაცია – საავტორო სკოლები, რაც გულისხმობდა იმას, რომ ამ სკოლებს შეეძლოთ ჰქონოდათ განსაკუთრებული სასწავლო გეგმა, რომელსაც შეათანხმებდნენ სამინისტროსთან და ისინი განსხვავებულად იმუშავებდნენ.“

მერი ქადაგიძე, მუშაობის პროცესში, პირველ აღმოჩენად ასახელებს 25 დეკემბერს, ერთ-ერთი მინისტრის მიერ, პრეზიდენტისადმი მიწერილ თხრობით ანგარიშს/მოხსენებას, რომელიც ძალიან მაღალფარდოვანი სიტყვებით იყო დაწერილი. ამბობს, რომ, ალბათ, იმ პერიოდში ასე იყო მიღებული. 25 დეკემბერს დაწერილ მოხსენებას კი, მალევე 10 იანვარს მოსდევს დოკუმენტი, სრულიად განსხვავებული არა მხოლოდ წერის მანერით, არამედ შინაარსითაც, სადაც ჩნდება პროექტი, მიზანი და სრულიად ახალი ტერმინოლოგია. *„ეს იყო გარდამტეხი მომენტი და პირდაპირი ნიშანიც, რომ სტრუქტურულად და თავიდან ბოლომდე იცვლებოდა ყველა-*

კვლევა

ფერი, რაც ამის შემდეგ გველოდა.“

და რაც გველოდა წინ, ეს უკავშირდება კახა ლომაიას მინისტრობას. გარდამტეხი პერიოდის ყოფილი მინისტრი იხსენებს იმ შთაბეჭდილებებს, როცა სამინისტროს შენობაში პირველად შევიდა – 2004 წლის 1 თებერვალი: *„ზამთარი იყო, ძალიან ციოდა, შენობის შიგნით ზუსტად ისევე ციოდა, როგორც გარეთ. გათბობის სისტემა მწყობრიდანაა გამოსული, ეს ისეთი ნიშანდობლივი იყო მთელი სისტემისთვის – მოძველებული ინფრასტრუქტურა, გაუმართავი ფუნქციებით, იქ მომუშავე ადიამიანებით, რომლებსაც თითქოს დაკარგული ჰქონდათ მიზანიც და მიმართულებაც თავიანთი საქმიანობის. იყო როგორც მოლოდინი, ისე მზაობა რადიკალური ცვლილებების ყველა სფეროში. ეს მოლოდინის კლიმატი, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა იმას, რომ ჩვენ სწრაფად გვემოქმედა. განათლების სისტემას უნდა უზრუნველეყო ის, რომ საქართველოს, როგორც მცირე რესურსებისა და შედარებით მცირე მოსახლეობის ქვეყანას, თავისი კონკურენტული უპირატესობები, სწორედ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში მოეპოვებინა. რადგან განათლების სისტემა სამოქალაქო ინტეგრაციის ინსტრუმენტია, ის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო საქართველოს ყველა მოქალაქისთვის და ყველა ოჯახისთვის, განურჩევლად მათი ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობისა.“*

რადიკალური რეფორმების ხანა დაიწყო. კვლევის ავტორი გიორგი ჭანტურია ამ პერიოდს, მართვის თვალსაზრისითაც, გამორჩეულად მიიჩნევს, *„აბსოლუტურად შეიცვალა მართვის პროცესი და გახდა მონაწილეობითი. მახსოვს ერთ-ერთ დოკუმენტზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ, რომ აბსოლუტურად ყველა სკოლის დირექტორს გაუგზავნეს ეს დოკუმენტი, მათგან მიიღეს უკუკავშირი და შემდგომ შეიტანეს ცვლილებები. მე არ მახსენდება სხვა პერიოდი, როდესაც სკოლების მონაწილეობა ასეთ მაღალ დონეზე ყოფილიყო ასული. ნიშანდობლივია, რომ კახა ლომაიას მინისტრობის პერიოდი, მუშაობისას, ძალიან ხანგრძლივ პერიოდად გვეჩვენებოდა, რეალურად კი, მხოლოდ ორი წელი იყო მინისტრი და, ამ მოკლე დროში, ბევრი ცვლილების განხორციელება შეძლო. ჩვენთან გავრცელებულია სტიგმა, რომ თითქოს განათლების სფეროს ხუთი ან ათი წელი მაინც სჭირდება იმისთვის, რომ რაღაც შედეგი დაინახო. რეალურად, ჩვენ დავინახეთ, რომ ორ წელიწადში ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები დადგა“.*

განათლების მკვლევარი ნუცა კობახიძე მიიჩნევს, რომ: *„თუ შევხედავთ პირველ ათწლეულს, 1990-დან 2000 წლამდე, ეს იყო თვითგამორკვევის და თვითგადარჩენის პერიოდი განათლების სისტემისთვის და, ზოგადად, საზოგადოებისთვის. ამ ათწლეულში მთავარი მამოძრავებელი იყო გადარჩენა. შემდგომ უკვე, 2000-დან 2010 წლამდე, იყო რეფორმების პერიოდი – რეფორმების ხანა, როდესაც ყველაზე მასშტაბური რეფორმები განხორციელდა, ზოგი უფრო მნიშვნელოვანი, ზოგი – ნაკლებად. ამ მნიშვნელოვანი რეფორმებიდან, ამ ათწლეულში, გამოვყოფდი ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ასევე, უმაღლესი განათლების სისტემის ბოლონიის პროცესში ჩართვას. ამის შემდეგ უკვე მოდის მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების შემუშავება, სასერტიფიკაციო გამოცდების დანერგვა, საერთაშორისო ტესტირებებში მონაწილეობა და ა.შ. შემდგომი პერიოდი, 2010-დან 2020 წლამდე, უკვე იყო არსებული რეფორმების გადახედვა, ადაპტაცია, შეცვლა, მაგრამ, ძირითადად, წრეზე ტრიალი. ახლა ვფიქრობ, რომ სულ სხვა ეტაპზე უნდა გადავიდეს განათლების სისტემა, უფრო მომავალზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია, გრძელვადიანი მიზნები გამოვყოთ და შევქმნათ უფრო მოქნილი და გამძლე განათლების სისტემა.*

კოვიდის დროსაც ძალიან მკაფიოდ გამოიკვეთა ერთი საკითხი, რომელსაც მე დავარქმევ ნდობის და ლეგიტიმაციის პრობლემას განათლების სისტემაში. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც დღეს არსებობს – ნდობის ნაკლებობა. ასევე ძალიან მწვავე პრობლემაა მერიტოკრატიის არარსებობა ჩვენს საზოგადოებაში, იმიტომ, რომ ყველაფერი მაინც ნეპოტიზმამდე, კორუფციამდეც კი მიდის. მერიტოკრატიის დამკვიდრება აჯანსაღებს განათლების სისტემას – ეს არის სისტემა, როდესაც სოციალური წარმატება განისაზღვრება ინდივიდის უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით და არა იმის მიხედვით, ვინ ვის იცნობს.“

ცხადია, ამ ხნის განმავლობაში, ბევრი ცვლილება განხორციელდა განათლების სისტემაში, ბევრი რეფორმა დაიწყო, ნაწილი წარმატებულად, ნაწილი წარუმატებლად, ნაწილი კი, საერთოდ ვერ განხორციელდა, თუმცა, დღეს ვართ იქ, სადაც ვართ – პანდემიის გამოწვევების პირისპირ, რომელიც, სავარაუდოდ, მკვლევრებისთვის ახალი ინსპირაცია გახდება, რადგან ნაშრომის ავტორთა აზრით, რთულია იმის თქმა, თუ როგორ წარიმართება პანდემიასთან ბრძოლა და როგორი იქნება პოლიტიკური დღის წესრიგი 2021 წლისთვის. თუმცა დარწმუნებული არიან, რომ 2021 წელი კიდევ ერთ მნიშვნელოვან და გარდამტეხ პერიოდად შეიძლება იქცეს ზოგადი განათლების სისტემისთვის. მათი აზრით, კვლევის მიზანიც სწორედ ეს არის – არა მხოლოდ 30-წლიანი ისტორიის მოყოლა, არამედ განათლების კვლევის ახალი პრაქტიკის დამკვიდრება, სისტემის შესახებ ცოდნის თავმოყრა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ ცოდნის გაზიარება.

გია მურღულიამ, კვლევის შეფასებისას, გვითხრა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია: *„იმიტომ რომ დღემდე, სამწუხაროდ, არ გვქონია მცდელობაც კი, რომ გაგვეაზრებინა ეს ისტორია – განათლების თავგადასავალი საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან დღემდე. რა თქმა უნდა, ბევრი პროცესი გვახსოვს, ბევრი გადაწყვეტილება გვახსოვს, მაგრამ სისტემური სახით ეს არც განხილულა, არც შესწავლილა და, მით უმეტეს, არ არის შეფასებული. სხვადასხვა დროს მხოლოდ ფრაგმენტულად შეიძლება იყოს, მაგრამ ასეთი მთლიანი პროდუქტი არ არსებობს, ადამიანმა რომ განიხილოს და შეაფასოს. ეს ძალიან აუცილებელი ამბავია, საზოგადოებას, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაინახოს მთავარი ტენდენციები ჩვენი სისტემის განვითარებისა – რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, როდის, ვის მიერ, რა კონტექსტში, როგორ აღსრულდა ეს გადაწყვეტილებები, ვის ჰქონდა პასუხისმგებლობა მასზე აღებული. ჩვენ კარგად გვახსოვს მინისტრების მუდმივი მონაცვლეობა (ძალიან ბევრი მინისტრი გამოვიცვალეთ), რაც ყოველთვის იმას ნიშნავდა, რომ ძველი სრულად იყო უარყოფილი და ეგრევე მოდიოდა რაღაცა ახლის დამტკიცების თუ რეალიზების სურვილი. მერე უკვე მომდევნო გადადებდა ამას განზე და თვითონ იწყებდა ე.წ. ახალზე მუშაობას. საზოგადოება მემკვიდრეობითობას უნდა ხედავდეს, ასევე, გადაწყვეტილებათა რეალიზებასაც, რომ შეაფასოს ვინ როგორ იმუშავა, ვინ რა შესძინა პოზიტიური განათლების განვითარების პროცესს საქართველოში. აი, ამის შესაძლებლობა ჩვენ, პრაქტიკულად, არ გვქონია იმიტომ, რომ არ გვქონდა ასეთი გამოცემა ან გამოცემები. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აღწერის სეგმენტს, რა მოხდა და როდის, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კვლევას და განსაკუთრებული მნიშვნელობა – ამ გადაწყვეტილებების შეფასებას და მათი აღსრულების ხარისხს. ეს ძალიან არსებითია. ბოლოს იმასაც გეტყვით, უკვე დაანონსდა, რომ მალე იწყება მუშაობა 2022-2032 წლების განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე. მე მარტივი კითხვა მაქვს: წინა გეგმა შევასრულეთ? ვინმემ შეაფასა ეს/ან ახალი სტრატეგიის დროს გათვალისწინებული იქნება მთავარი კითხვა – რას ვხედავთ არსებით პრობლემებად ჩვენი განათლების სისტემისთვის და რა გვაქვს დაგეგმილი ისეთი, რაც გარკვეულ დროში (ეს დროც უნდა გვითხრან) ამ პრობლემებს გადაწყვეტს? აი, თუ ეს გვეცოდინება, მაშინ საზოგადოებას ექნება შესაძლებლობა და გაბედულებაც, დაინახოს და სხვებსაც დაანახოს ვინ რა ნაბიჯები გადადგა და რამდენად სასიკეთო იყო ეს ნაბიჯები ჩვენი ქვეყნისთვის.“*

სიმონ ჯანაშია კვლევის ოთხ სარგებელზე საუბრობს: *„მე მგონია, რომ ასეთი კვლევა საინტერესოა ინტელექტუალური კუთხით, ბევრ საინტერესო რამეს გავიგებთ, პედაგოგიური თვალსაზრისით, გვასწავლის რა აღარ უნდა გავიმეოროთ და რა უნდა გავაკეთოთ. არის ასევე პრაქტიკული სარგებელი, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, რა გადაწყვეტილებები იყო მიღებული ამ პერიოდში განათლების სფეროში და მეოთხე – ეს არის ჩვენი პოლიტიკური ისტორიის ნაწილიც, განათლების ისტორია გვეუბნება,როგორი ხალხი ვიყავით იმ წლებში, როდესაც განათლების სფეროს ვაშენებდით.*

ამ გადასახედიდან, როგორი ისტორია დაწერა განათლების სისტემამ? როგორც ისტორიის ფილოსოფოსები ფიქრობენ, სისტემა სპირალურად ვითარდება, ვუბრუნდებით ერთი და იმავე წერტილს, ოღონდ სხვადასხვა სიმაღლეზე და ვიმეორებთ ბევრ ნაბიჯს, რომელიც გადადგმულია, ზოგს იმიტომ იმეორებ, რომ აღარ გახსოვს ეს ნაბიჯი, ზოგს იმიტომ, რომ მიგაჩნია ბოლომდე არ იყო მიყვანილი და ახლა უნდა მიიყვანო. პრინციპში, განათლების ისტორია საზოგადოების ანარეკლია, როგორც ვითადება საზოგადოება, ისეთი განათლების სისტემა აქვს და როგორი განათლების სისტემაც აქვს, ისეთია საზოგადოებაც. ასე რომ, ურთიერთდამოკიდებული ორი სისტემაა და პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავს განათლების სისტემაში გადაწყვეტილებებს, მერე კი, პირიქით, განათლების სისტემაში მიღებული გადაწყვეტილებები განსაზღვრავს, როგორი პოლიტიკა გვექნება. რა ღირებულებებს დაეფუძნება პოლიტიკა და როგორ ჩაერთვებიან მასში ახალგაზრდები. პრინციპში, ახლა განათლების სისტემის მართვაში უკვე ჩართულია ის თაობა, რომელმაც, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ბევრი სხვადასხვა რეფორმა გაიარა. ვნახავთ, ეს ადამიანები რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ.

30 წლის განმავლობაში ბევრად მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ვიდრე გავაკეთეთ. ჯერ ელემენტარული საკითხების მოგვარება არ დაწყებულა, მაგალითად, იმას ვერ მივაღწიეთ, ამ ხნის განმავლობაში, რომ სასმელი წყალი იყოს ყველა სკოლაში, საპირფარეშოები იყოს მოწესრიგებული, მშობელი იყოს ჩართული სკოლის გაუმჯობესებაში, ტექნოლოგიზირებულ სამყაროში გავცდეთ ქაღალდით სწავლებას, თუ პანდემია არ არის.“

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2019-ის გამარჯვებული მასწავლებელი **გიორგი ჭაუჭიძე** ნაშრომს ძალიან მნიშვნელოვან მასალად მიიჩნევს და ამბობს, რომ, *„ფაქტობრივად, ჩემ თვალწინ გაიარა ამ პროცესმა, მე ვიყავი ერთ-ერთი მონაწილე და ბევრი რამ მახსოვს, რაც კვლევის დოკუმენტშია შესული. ამიტომაც ჩემს თავსაც ვხედავ. საინტერესო პერიოდი გავიარეთ – სრული ხელმიშვებულობიდან დაწყებული ზედმეტი ჩართულობით დასრულებული. ამიტომ, რეფორმების თუ პროცესის დანახვა, გადაფასება, შეფასება საინტერესო და საჭიროა ახლა, ხვალინდელი ნაბიჯები უფრო სწორად რომ დავგეგმოთ.*

სკოლაში მასწავლებლად 1995 წლიდან შევედი, დაახლოებით, 25 წელია მასწავლებელი ვარ. დღევანდელი სკოლა, რაც არ უნდა ვთქვათ, შეიცვალა თუ არ შეიცვალა, ყველაზე მეტად ჰგავს იმ საბჭოთა სკოლას იმიტომ, რომ მთავარი რამეები ჩვენ ჯერ კიდევ შესაცვლელი გვაქვს. სამწუხაროდ, ამას ჯერ ვერ ვაცნობიერებთ. ასეთი კვლევები იქნება ერთ-ერთი ისეთი ბიძგი, რომელიც ჩვენ, საზოგადოების წევრებს, გვაჩვენებს, რომ სხვა რამეები უნდა შევცვალოთ განათლების სისტემაში, ვიდრე, თუნდაც, ახლა და ამ წლების განმავლობაში ვცდილობდით შეგვეცვალა ან ვცვლიდით. მოკლედ, უფრო სხვა და ფუნდამენტური რამ გვაქვს შესაცვლელი სისტემაში.

განათლების ოცდაათწლიანი ისტორია, ვფიქრობ, რომ არც უარესი და არც უკეთესია ქვეყნის ისტორიაზე, შესაბამისია – როგორც ქვეყანა ვითარდებოდა, ისე განათლების სისტემაც. მაგალითად, როცა 90-იან წლებში, მთელი ქვეყანა ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ კოლაფსში აღმოჩნდა, იგივე დაემართა ჩვენს სისტემასაც, თუმცა არ გაჩერებულა. ასე მოხდა პანდემიის პირობებშიც – განათლების სისტემა, ასე თუ ისე, აგრძელებდა ფუნქციონირებას. შეიძლება ჩვენს სფეროში ცოტა უკეთესი მდგომარეობაც კი იყო, სხვებთან შედარებით. მაგრამ განათლებას იმდენად დიდი მნიშვნელობა და ზეგავლენა აქვს სხვა სფეროებზე, ეს „ცოტა უკეთესობა“ სულაც არ არის საკმარისი.

მკვლევართა ჯგუფი იმედს გამოთქვამს, რომ კვლევას გააგრძელებენ და კიდევ უფრო განავითარებენ ამ მიმართულებას. გიორგი ჭანტურიას აზრით: *„ეს არის მცდელობა, ერთი მხრივ, გავიაზროთ რა მოხდა განათლების სიტემაში – საიდან იღებს სათავეს ის გამოწვევები, რაც დღეს გვაქვს, რა რასთან არის კავშირში, ასევე, რამდენად კომპლექსურია ეს პრობლემები, იმიტომ, რომ ხშირად ფიქრობენ, თითქოს ერთი რაღაცის ცვლილებით შესაძლებელია, გავლენა იქონიონ მთელ სისტემაზე.“*

„ვფიქრობ, ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაცია არის სწორედ ის საფუძველი, რომელზეც შეიძლება რეფლექსია გვქონდეს, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ და დავიწყოთ დისკუსია. ასევე ვფიქრობ, რომ თითოეული ქვეთავი, რომელსაც წაიკითხავს ადამიანი, ცალკე საკვლევი თემაა. გვინდა, როგორც ჩვენ ვუყურებთ ამას, როგორც უწყვეტ პროცესს, მკითხველმაც ასე აღიქვას. თუ თვლის, რომ რაღაც საკითხი არ არის სიღრმისეულად შესწავლილი, დაიწყოს მისი შესწავლა ან თუ ფიქრობს, რომ არსებობს პერსპექტივა, რომელიც მნიშვნელოვანია ისტორიის გასააზრებლად, ამაზე დაიწყოს ფიქრი და მუშაობა. სწორედ ამ კუთხით ვუყურებ, მე, როგორც განათლების კვლევით დაინტერესებული ადამიანი, ამ წიგნს. ეს არის ძალიან კარგი წყარო იდეებისთვის, გარისკვისთვის, მცდელობისთვის, რომ რაღაც შეცვალო, ისწავლო და იმის გააზრებისთვის, რომ განათლება, როგორც ბევრი რამ ჩვენ გარშემო, უწყვეტი პროცესია და ამ საქმეს, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, აუცილებლად სჭირდება გაგრძელება“ – ამბობს მერი ქადაგიძე.

ხარისხის განვითარება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ENQA-ს მონიტორინგი წარმატებით გაიარა – ამის შესახებ გვესაუბრება თამარ მახარაშვილი, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა წარმატებით გაიარა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მონიტორინგის ჯგუფის შეფასების პროცესი. ENQA არის ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაცია, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებაში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ENQA-ს პირველი შეფასება 2018 წელს გაიარა. 2019 წელს კი, ENQA-ს საბჭოს გადაწყვეტილებით, ცენტრს მიენიჭა ENQA-ს წევრის სტატუსი, რაც ნიშნავს იმას, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და პროცედურები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015) და აკმაყოფილებს ENQA-ს წევრობის კრიტერიუმებს.

2021 წლის აპრილში, ცენტრმა გაიარა ENQA-ს მონიტორინგი, რომლის ფარგლებში გადამოწმდა ცენტრის მიერ ENQA-ს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესრულება. შემოწმების დროს დეტალურად და სიღრმისეულად იქნა განხილული ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და ცენტრის დებულებებში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, განხორციელებული ცვლილებები. დადებითად შეფასდა ცენტრის მუშაობა თემატური ანალიზების განხორციელების სისტემური მეთოდოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით. თემატური ანალიზებით ცენტრი აქვეყნებს ანგარიშებს, რომელიც აღწერს და აანალიზებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგად მიღებულ სურათს, განვითარების ტენდენციებს, საუკეთესო გამოცდილებასა და გამოწვევებს სისტემის დონეზე. მიმდინარე წელს, ცენტრი მუშაობდა სამედიცინო განათლების ხარისხის თემატურ ანალიზზე და გეგმავს თემატური ანალიზის განხორციელებას სადოქტორო განათლების მიმართულებით. თემატური ანალიზების განხორციელება და მათ შედეგებზე რეფლექსიას ცენტრი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცესების გაუმჯობესებისათვის, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ცენტრის მიმდინარე საქმიანობაზე, ასევე, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე.

მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, ENQA-ს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები ცენტრის მიერ იქნა შესრულებული. ამასთან, საერთაშორისო ექსპერტების მიერ, ასევე, დადებითად შეფასდა ცენტრის სამომავლო ხედვა და ცენტრის დამოუკიდებლობასთან მიმართებით გადადგმული ნაბიჯები. ამასთანავე, ENQA-ს საბჭოს რეკომენდაციით, უნდა გაგრძელდეს მუშაობა და შეიქმნას საჭირო პირობები იმისათვის, რომ ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მიეცეს მასზე დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად განხორციელების შესაძლებლობა. ცენტრის საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების ცენტრის მმართველობაში ჩართულობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რაც ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ერთ-ერთი მოთხოვნაა და ცენტრის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერებას უწყობს ხელს.

ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიში ENQA-ს მონიტორინგისათვის
https://www.enqa.eu/wp-content/uploads/NCEQE_Follow-up_REPORT_FINAL_18.03.2021__-converted.pdf

სასწავლო წლის შეფასება

სასწავლო წელი კოვიდ გამოწვევების ფონზე

განსაკუთრებული პროგლემებითა და გამოწვევებით გამორჩეული კიდევ ერთი სასწავლო წელი დასრულდა. მისი შეფასება, ალბათ, უფრო ღრმა და მრავალმხრივ ანალიზს მოითხოვს, თუმცა, ცალკეული სკოლების მაგალითზე და პედაგოგთა ინდივიდუალური შეფასებებით, ვფიქრობთ, ზოგადი სურათის შექმნა შესაძლებელია. ამ მიზნით რამდენიმე კითხვით მივმართეთ სოფიო გოგოხიას (აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2020 წლის გამარჯვებული) და მარინე ვართუმაშვილს (გორის №12 საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი, 2020 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტი).

როგორ შეაფასებთ 2020-2021 სასწავლო წელს?

სოფიო: არ მინდა უსიამოვნოდ ინტერვიუს დაწყება, მაგრამ უნდა ითქვას, ეს სასწავლო წელი იყო რთული, საკმაოდ დაძაბული. პანდემიამ ისევ უამრავი განსაცდელის წინაშე დაგვაყენა. მოსწავლეებს სახლშიც, სკოლაშიც, ყველგან – ხვდებოდათ გარემო, სადაც ყველას რაღაცის ეშინია, ბევრი რამ იკრძალება. ეს ძალიან დამთრგუნველია და ასეთ ვითარებაში უნდა ისწავლონ, ჰქონდეთ განწყობა, იყონ მობილიზებულები და მოტივირებულები, ამას ითხოვენ მათგან. დამეთანხმებით ალბათ, რომ ეს დიდებსაც გვიჭირს და მოსწავლეებს – მით უფრო. გარდა ამისა, 2019-20 სასწავლო წლის დანაკლისის შევსებასაც ვცდილობდით სხვადასხვა გზით, რამდენადაც პანდემია ამის საშუალებას გვაძლევდა და ესეც დამატებით სირთულეს ქმნიდა.

მარინე: მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, 2020-2021 სასწავლო წელს დადებითად შევაფასებდი. წინა სასწავლო წელთან განსხვავებით, მიუხედავად ეპიდემიისა, თითქოს უფრო მობილიზებული ვიყავით, როგორც მოსწავლეები ისე მასწავლებლები. მეტი გამოცდილება გვქონდა, უფრო შეგუებულიც ვიყავით იმ რეჟიმს, რომელშიც ვმუშაობდით. ეპიდემიის დასაწყისი უფრო რთული იყო და გარკვეული პრობლემებიც ახლდა.

შეძელით თუ არა სასწავლო პროგრამის სრულად ათვისება?

სოფიო: დასწრებულად იქნებოდა ეს თუ ონლაინ რეჟიმში, დიახ, ჩვენ შევძელით პროგრამის გავლა, რაც იმის დამსახურებაა, რომ სასწავლო პროცესი მეტწილად საკლასო ოთახებში მიმდინარეობდა. გარდა ამისა, დამატებითი გაკვეთილები და საკლუბო შეხვედრებიც ამ პრობლემის აღმოფხვრისკენაა მიმართული. რთულია, მაგრამ უნდა ვეცადოთ.

მარინე: პროგრამის ძირითადი ნაწილის ათვისება შევძელით, მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სწავლების პერიოდში საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობა შემცირებული იყო. მომიწია თემატურ-კალენდარული გეგმის მოდიფიცირება, განათლების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

თუ გყავდათ მოსწავლეები, რომლებმაც ონლაინ სწავლება თვითონ აირჩიეს და რა სხვაობაა მათსა და იმ მოსწავლეების შედეგებს შორის, რომლებიც სკოლებში აგრძელებდნენ სწავლას?

სოფიო: 2019-2020 სასწავლო წლის გამოცდილების შემდეგ, თითოეულმა მოსწავლემ და მასწავლებელმა ისე კარგად დავიახეთ საკლასო ოთახებში ყოფნისა და სწავლის ფასი, ასეთი სურვილი, ონლაინ ესწავლათ მაშინ, როცა დისტანციურ სწავლებაზე არ იყო სკოლა გადასული, არავის გამოუთქვამს. გარდა პანდემიის შემთხვევებით გამოწვეული დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისა, დიდ უმეტესობას ერჩივნა სკოლაში მოსულიყო. იყო დღეები, როცა ჩვენს მუნიციპალიტეტში ინფიცირებულთა რიცხვი გაიზარდა და მაშინ ნაწილმა, სიფრთხილისა და შიშის გამო, სახლში არჩია ყოფნა. ონლაინ მომსახურებით სარგებლობა მათთვისაც, რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომი იყო.

მარინე: ასეთი მოსწავლეები თითქმის ყველა კლასში მყავდა, განსაკუთრებით მე-8, მე-10, მე-11 კლასებში. ვფიქრობ, საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყენეს და მოსწავლეებისთვის დადებითი ეფექტი ჰქონდა, რადგან საგაკვეთილო პროცესი არ გაცდენილა. რაც შეეხება სხვაობას, პირისპირ სწავლებისას გაცილებით მეტი ეფექტი აქვს მოსწავლის სწავლაში გაწაფვას კონკრეტულ საკითხებში, თუმცა მრავალფეროვანი რესურსების მობილიზება ონლაინ სასწავლო პროცესში უფრო მარტივია.

რას გეგმავთ იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც ვერ შეძლეს ონლაინ სასწავლო პროცესში ჩართვა, თუ გაქვთ მათი საჭიროებები გამოკვლეული და როგორ აპირებთ ამ პრობლემის დაძლევას?

სოფიო: როცა სკოლა დადგა ამ პრობლემის წინაშე, გადაწყდა, რომ დამატებითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. სასწავლო წლის განმავლობაში ვატარებდით დამატებით გაკვეთილებს, საკლუბო შეხვედრებს, ეს განსაკუთრებით გვეხმარება. აგრეთვე, უკვე დაგეგმილი გვაქვს საზაფხულო შეხვედრები, რომლებიც, ვფიქრობთ, დაგვეხმარება ხარვეზების შევსებაში.

მარინე: 2020-2021 სასწავლო წელი რეგიონებში ნაწილობრივ ონლაინ წარიმართა, ნაწილობრივ – პირისპირ. მოსწავლეები, რომლებმაც ვერ მოახერხეს ონლაინ სწავლის პროცესში ჩართვა, აქტიურები იყვნენ პირისპირ სწავლებისას.

როგორ შეაფასეთ მოსწავლეები, რომლებიც ვერ ერთვებოდნენ ონლაინ სწავლებაში და უფიქსირდებათ გაცდენები?

სოფიო: მოსწავლეები გაკვეთილებს ვერ ესწრებოდნენ არა მხოლოდ ონლაინ სწავლებისას, არამედ დასწრებული სწავლების დროსაც, რადგან მშობლების ნაწილი უფრთხოდა შვილის სკოლაში გაშვებას, ინფიცირების და უფრო მეტად ინფექციის ოჯახის უხუცესი წევრისთვის გადადების შიშით. სწავლების სხვადასხვა საფეხურზე გაცდენა სხვადასხვანაირ კვალს ტოვებს, დაწყებით კლასებში ეს სხვაგვარად გამოიხატება და საშუალო საფეხურზე – განსხვავებულად. თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვათ, ამ მოსწავლეებს ბევრი რამ დააკლდათ და აუცილებელია ამ დანაკლისის აღმოფხვრა სხვადასხვა გზით. გარდა დამატებითი გაკვეთილებისა, ჩვენს სკოლაში ე.წ. არაფორმალურ განათლებას სწორედ ამ მიზნით გამოვიყენებთ და კლუბთა გაერთიანება დაგვეხმარება, შევავსოთ დანაკლისი.

მარინე: განათლების სამინისტროს რეგულაციების შესაბამისად, ასეთი მოსწავლეები ექსტერნის გამოცდებით შეძლებენ ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგების დაძლევას და შესაბამისად შეფასდებიან.

ყველაზე დიდი საჭიროება, რომელიც ამ სასწავლო წელს გამოიკვეთა?

სოფიო: ონლაინ სწავლებაზე გადასვლამ დაგვანახა, რომ ბევრი რამის ცოდნა გვჭირდებოდა, ამიტომ, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ დახმარებით, ჩავატარეთ სამკვირიანი ტრენინგი მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის, რაც საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა, მაგრამ გამოიკვეთა ციფრული მოწყობილობის უქონლობის პრობლემა, ტელეფონი არ იყო საკმარისი და ვეცადეთ, მოგვეძიებინა სხვადასხვა გზით, ერთი სიტყვით, ძალიან გაგვიჭირდა. ამის შემდეგ მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, გაგრძელებულიყო ეს ონლაინ ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. გაგრძელება ისევ CSRDG-ის დახმარებით მოვახერხეთ, გრაფიკული დიზაინისა და ვებდეველოპმენტის მიმართულებით, მაგრამ ისევ დავდექით იმ პრობლემის წინაშე, რომ დაინტერესებულ მოსწავლეებს არ აღმოაჩნდათ მსგავსი მოწყობილობა, რომელიც ამ ტრენინგის გავლის საშუალებას იძლევა. საერთოდაც, მიუხედავად იმისა, რომ დირექციას არასოდეს დაუხევია უკან, როცა რაღაც გვჭირდება და შეუძლია, ბევრი რამის შესყიდვის უფლება არ აქვს სკოლას და რესურსების უქონლობა რჩება ისევ პრობლემად. გარდა ამისა, მე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ხშირად ვდგები იმ პრობლემის წინაშე, რომ მრავალრიცხოვან კლასში არ არის საკმარისი სასკოლო ბიბლიოთეკიდან (საკუთარიდანაც) წამოღებული ორი ან სამი ერთი დასახელების წიგნი, დამატებით საკითხავად, მჭირდება რამდენიმე ეგზემპლარი, გვჭირდება საზღვარგარეთის ლიტერატურის დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც ყველა მოსწავლეს ექნება. რთულია ამდენი რამის ამობეჭდვა ყველა მოსწავლისათვის სათითაოდ და ხშირად შეუძლებელიც, არადა, საჭიროა. ამ პრობლემას მუდმივად ვაწყდები, ვცდილობ, მოვიპოვო, ვიშოვო, ბუკინისტებთან შევიძინო, მაგრამ რთულია, რადგან ბევრი მჭირდება. შეიძლება ვინმეს ეს პრობლემა მნიშვნელოვნად არ ეჩვენება, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის.

მარინე: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა სკოლებში, ძლიერი ინტერნეტი და გამართული ტექნიკური აღჭურვილობა.

გქონდათ თუ არა რესურსი ონლაინ სწავლებისთვის?

სოფიო: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა, ვეცადეთ, მოვიძიეთ, ავაწყვეთ, შევაგროვეთ, ვითხოვეთ, რესურსების ნაკლებობა ამ სასწავლო წელსაც, რა თქმა უნდა, იყო. თითო-ოროლა და თუნდაც რამდენიმე მოძიებული კომპიუტერისა და ინტერნეტპაკეტის დაფინანსება ვერ აგვარებს ამ პრობლემას ყველა მოსწავლისთვის. დიდი ნაწილი კომპიუტერის გარეშე რჩება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტელეფონი სასწავლო რესურსი არ არის, აგრეთვე, იმ ოჯახებში, რომლებშიც ორი ან სამი მოსწავლეა, ერთი მოწყობილობის ქონა საკმარისი არ არის. ერთი სიტყვით, უამრავი რამ არის გასათვალისწინებელი. და ასევე ისიც, რომ პანდემიამ თავი დღესვე რომ დაგვანებოს, ონლაინ რეჟიმში მუშაობა, ონლაინ ინსტრუმენტების ფლობა და ხელმისაწვდომობა უფრო მეტად და მეტად დაგვჭირდება ყველას, მოსწავლესაც და მასწავლებელსაც და აღნიშნული რესურსებით უზრუნველყოფა დღის წესრიგიდან არ უნდა მოიხსნას, როგორც ახლა უყვართ თქმა.

მარინე: ყველა გაკვეთილზე მქონდა, რადგან თავადაც ვქმნიდი რესურსებს და ჩემი საგნის, გეოგრაფიის, სპეციფიკიდან გამომდინარე, ონლაინ სივრცეში საკმაოდ კარგი და მრავალფეროვანი რესურსებია.

საგანმანათლებლო ლიდერი

სკოლის დირექტორი კარგი მენეჯერიც უნდა იყოს

შახვალათ ნაბიევი
სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტნუსის საჯარო სკოლის დირექტორი

სკოლის დირექტორი

საჯარო სკოლის დირექტორი არის ძლიერი და მოტივირებული ლიდერი, რომელიც ვალდებულია, შექმნას უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო გარემო, უზრუნველყოს დაინტერესებული პირების ჩართულობით გამჭვირვალე პროცესების წარმართვა სკოლის სტრატეგიული განვითარებისათვის და გუნდის პროფესიული წინსვლისათვის. დირექტორი წამყვან როლს ასრულებს პოზიტიური სასკოლო კულტურის ფორმირებაში, განვითარებასა და შენარჩუნებაში.

დირექტორს უნდა ჰქონდეს ერთიანი ხედვა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ღირებულებებსა და მისაღწევ შედეგებს. ის ითვალისწინებს სასკოლო ცხოვრებაში ჩართული მხარეების ინტერესებს, მოსაზრებებს, ამავდროულად, ახალისებს ინოვაციურ მიდგომებს მართვასა და სწავლებაში.

საგანმანათლებლო ლიდერი

დირექტორი, როგორც საგანმანათლებლო ლიდერი, უნდა უზრუნველყოფდეს სკოლაში ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისთვის და უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებასა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, რაც გულისხმობს უსაფრთხო, კეთილგანწყობილი, ინკლუზიური, წამახალისებელი, თანამშრომლობითი და გენდერულად დაბალანსებული გარემოს შექმნას. დირექტორი, სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით, წამყვან როლს უნდა ასრულებდეს სკოლის განვითარების ერთიანი ხედვისა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრასა და განხორციელებაში.

წარმატებული სკოლა

წარმატებული სკოლები მხოლოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობით არ ინტერესდებიან. მათ კარგად აქვთ გააზრებული, რომ სწავლისა და სწავლების პროცესის დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება, მაღალკვალიფიციური მასწავლებლების შერჩევა, მათი შემდგომი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო ბევრი სხვა ღონისძიების განხორციელება აუცილებელია.

დირექტორების ახალი სტანდარტის ახალი ტენდენციები

ახალი სტანდარტის სტრუქტურა 4 ძირითადი მიმართულებითაა წარმოდგენილი – საგანმანათლებლო ლიდერობა, სასწავლო პროცესის ადმინისტრირება და ანგარიშვალდებულება, თვითგანვითარება, ასევე, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება და ბოლოს, თემთან, ინსტიტუციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა.

ახალ სტანდარტში დირექტორის როგორც საგანმანათლებლო ლიდერის, ასევე როგორც მენეჯერის როლი და ფუნქცია უფრო მკაფიოდ არის წარმოდგენილი.

პროფესიული განვითარება

სკოლის დირექტორი და ადმინისტრაცია ყოველთვის ხელს უნდა უწყობდეს თანამშრომელთა მოტივაციის ზრდას და პროფესიულ განვითარებას.

მასწავლებელი მუდმივად უნდა თანამშრომლობდეს კოლეგებთან, ითვალისწინებდეს მათ აზრს პროფესიული განვითარების პირად გეგმაში. პროფესიული განვითარება არ არის მხოლოდ ერთ მასწავლებელზე დამოკიდებული პროცესი და ის მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობას გულისხმობს. ხშირად რთულია პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი გზებისა და მეთოდების მართებულად დასახვა. პროფესიული განვითარების კურსების არჩევანი დიდია და მასწავლებელს უჭირს ყველაზე შესაფერისი რესურსის იდენტიფიცირება, რაშიც მისი დახმარება სხვა მასწავლებლებს შეუძლიათ. კოლაბორაციული სწავლების შედეგად პედაგოგებმა უკეთ იციან, რა უნარების თუ კომპეტენციების განვითარება სჭირდებათ მათ კოლეგებს.

რა სჭირდება დღეს სკოლის დირექტორს

სკოლის მისიის შესრულებისა და მშობლებთან ეფექტიური კომუნიკაციის შექმნის მიზნით, სკოლის საზოგადოების მხარდაჭერა და ერთობლივი საქმიანობა.

როგორ უნდა შეარჩიოს სკოლამ დირექტორი

სკოლის დირექტორის შერჩევა ხორციელდება კანონით დადგენილი კონკურსის წესების შესაბამისად. ჩემი აზრით, ეს არის არჩევანის ყველაზე დემოკრატიული ფორმა.

რამდენიმე მტრიხი დირექტორის პორტრეტისთვის

- ✔ გარდა იმისა, რომ დირექტორი განათლების ლიდერია, იგი კარგი მენეჯერიც უნდა იყოს.
- ✔ დიდია სკოლის დირექტორის როლი სკოლის ბიუჯეტის მიზანმიმართულ მართვაში.
- ✔ ასევე სკოლის განვითარებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, დირექტორი დაინტერესებული უნდა იყოს სოციალური პროექტებისა და სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობების განხორციელებით.

სპორტი

ფინალური ტურნირის გამარჯვებულები

საქართველოში, უნივერსიტეტებს შორის სპორტული ღონისძიებების სიმრავლით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მართლაც ლიდერობს. ამის დასტური ახლახან მინი-ფეხბურთში ჩატარებული ტურნირიცაა. როგორც ყოველთვის, ტურნირის ორგანიზებაში აქტიურად დაგვიჭირეს მხარი თსსუ-ს რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადჭკორიამ, ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ირაკლი კოხრეიძემ, კანცლერმა, პროფესორმა ზურაბ ორჯონიკიძემ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, მიხეილ დიაკონიძემ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის სტუდენდური თვითმმართველობისა (პრეზიდენტი – ანა კაკაბაძე) და ფეხბურთის ნაკრების გუნდის მწვრთნელის, მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ვახტანგ ბაქანიძის როლი ტურნირის ორგანიზებისა და ჩატარების საქმეში.

ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ იგი საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენების – რევაზ ძოძუაშვილის, თენგიზ სულაქველიძისა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, ავთანდილ კოკაიას სახელობის იყო. ბუნებრივია, ისინი ამ შეჯიბრებების საპატიო სტუმრებიც იყვნენ. ტურნირში 10 გუნდი მონაწილეობდა, რომელიც ორ ქვეჯგუფად გადანიწლდა. ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები ნახევარფინალში გავიდნენ; III ადგილი დაიკავა გუნდმა „WEST".

სანახაობრივად და ტექნიკური თვალსაზრისითაც საინტერესოდ წარიმართა ფინალური შეხვედრა, რომელმაც 2021 წლის ჩემპიონი – „პირველი მერცხალი" გამოავლინა; მეორე ადგილზე გავიდა გუნდი „ზესტაფონი"; რაც შეეხება სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს: საუკეთესო ბომბარდირი გახდა – **მირიან ჯაფიაშვილი**; ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი – **დავით სულხანიშვილი**; საუკეთესო მცველი – **დავით უბილავა**; საუკეთესო მეკარე – **თორნიკე ფუტკარაძე**.

გამარჯვებას ვულოცავთ და მომალშიც წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენი უნივერსიტეტის საამაყო სტუდენტებს.

მარიამ თოლორდავა
მედიცინის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

სამოქალაქო ინტეგრაცია

ბოშების ეთნო-კულტურული ცხოვრება საქართველოში

მაკა ყიფიანმა

საქართველოში, საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მკვიდროდნენ და მშვიდობიანად ახერხებენ თანაცხოვრებას. ეთნიკურ ჯგუფებს შორის ერთ-ერთი უძველესი ისტორიისა და წეს-ჩვეულებების მძონე არიან ბოშები.

ისტორიულად, ინდოეთიდან მომდინარე ბოშების ეთნიკური ჯგუფი, დღეს ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკის მრავალ ქვეყანაში, ასევე ავსტრალიაშიც გვხვდება. ევროპაში, დაახლოებით, მე-14 საუკუნეში ჩამოვიდნენ. თავდაპირველი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მათ მიმართ, მალე დევნით შეიცვალა – კანონგარეშე პირებად აცხადებდნენ და ქვეყნიდან ასახლებდნენ. დაახლოებით, 500 000 ბოშა მოკლეს ჰოლოკოსტის დროს... დღეს, ევროპაში, 10-დან 12 მილიონამდე ბოშა ცხოვრობს.

1971 წელს, ლონდონში, ბოშათა პირველ საერთაშორისო მსოფლიო კონგრესზე, მიიღეს ბოშების დროშა და ჰიმნი – „ჯელემ-ჯელემ“. 8 აპრილს ბოშების საერთაშორისო დღე აღინიშნება. ისინი, მთელ მსოფლიოში, დღემდე იბრძვიან თავიანთი სოციალური და კულტურული უფლებების დასაცავად, სურთ გულგრილად განწყობილ მსოფლიო საზოგადოებას საკუთარი დისკრიმინაციული და გაუსაძლისი მდგომარეობა დაანახვონ.

ბოშების საქართველოში ჩამოსახლების ზუსტი ისტორიული თარიღი უცნობია. ვარაუდობენ, რომ ბოშათა მომთაბარე ჯგუფები, პირველად, XIX საუკუნის დამდეგს გამოჩნდნენ. მათი დიდი ნაკადი 1930-იან წლებში, ძირითადად, უკრაინიდან და მოლდოვადან შემოვიდა. უმთავრესად, შავი ზღვის სანაპიროზე და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განთავსდნენ.

ამჟამად ბოშათა უმრავლესობა დასახლებულია თბილისში. ცხოვრობენ აგრეთვე იმერეთში, აჭარაში, კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, როგორც პატარა სოფლებში, ასევე სხვა ტიპის დასახლებულ პუნქტებსა თუ ქალაქებში.

საქართველოში მცხოვრებ ბოშათა ნაწილი თავს მუსლიმად ან მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, არიან სხვა რელიგიური იდენტობის ჯგუფებიც, მათ შორის, ევანგელისტური აღმსარებლობის ქრისტიანები. საქართველოში მცხოვრები ბოშები საუბრობენ აწინკნური (ბოშური) ენის (ინდო-ევროპული ენების ოჯახს მიეკუთვნება) დიალექტზე – კრიმი და ვლახი. ისინი, უმთავრესად, წვრილმანი ვაჭროებითა და მკითხაობით ირჩენენ თავს, უდიდესი ნაწილი უმუშევარია.

სახელმწიფო ენის არასაკმარისი ცოდნა, ზოგადად, ხელს უშლის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამცირებს ეკონომიკური და პროფესიული წარმატების მიღწევის შანსებს. ბოშათა დიდმა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა – ქართული და ძალიან ცოტამ იცის რუსული წერა-კითხვა. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო გართულებულია მათი ურთიერთობა სახელმწიფო სტრუქტურებთან.

ბოშები ცნობილი არიან, როგორც კარგი მუსიკოსები, მოცეკვავეები და მოცეკვავეები. საქართველოში ბოშათა ფოლკლორული ანსამბლები საკმაოდ წახალისებული იყო საბჭოთა კავშირის პერიოდში, თუმცა, ამჟამად, ისინი აღარ მოქმედებენ. ბოშათა ოჯახები ცდილობენ, საკუთარი ეროვნული ტრადიციები თაობიდან თაობას გადასცენ და ამ გზით შეინარჩუნონ საკუთარი ეთნო-კულტურული იდენტობა.

საქართველოში ბოშათა ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლება ქობულეთშია. ქალაქის ცენტრთან ახლოს, სარკინიგზო ხაზის აღმოსავლეთით, გელაურის უბანში სახლობენ. თუ როგორია მათი ყოველდღიურობა, რამდენად ახერხებენ სრულფასოვანი განათლების მიღებას, არსებობს თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა ბოშათა უფლებების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დასაცავად – ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ქობულეთის მე-5 საჯარო სკოლის დირექტორი ***ნარგიზ ჯინჭარაძე.***

– რა დროიდან ცხოვრობენ ბოშები ქობულეთის მუნიციპალიტეტში? გვიამბეთ გელაურის უბნის ბოშათა თემის ისტორია.

– ისტორიული წყაროები, ქობულეთში ბოშათა დასახლების შესახებ, მწირი და განსხვავებულია. ამ თემის უხუცესების ინფორმაციით, ისინი ქობულეთში გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ცხოვრობენ, საკუთარ თავს ყირიმელ (კრიმები) ბოშებს უწოდებენ. იმ დროის ხელისუფლების ხელშეწყობით, ნაწილმა მიიღო საცხოვრებელი ფართი და მუდმივ მაცხოვრებლად დამკვიდრდა.

ამ თემის შესახებ სტატისტიკაც არაზუსტია. ჩვენი ინფორმაციით, ქობულეთში, 30-მდე ოჯახში, 300-ზე მეტი ბოშა ცხოვრობს.

– რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ბოშათა თემი თქვენს მუნიციპალიტეტში?

– მძიმე და გაუსაძლისია მათი ცხოვრების პირობები, ხშირად, ერთ პატარა სახლში, 3-4 მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობს. უმრავლესობა ნაქირავებ ან შეჭრილ ფართშია. თითქმის ყველა ოჯახი იღებს სოციალურ შემწეობას, მაგრამ უმუშევარ, პროფესიის არმქონე ბოშებს მხოლოდ საკვების შესაძენად ჰყოფნით ეს თანხა. შვილებისთვის განათლების მიღების ხელშესაწყობად არც მატერიალური შესაძლებლობა აქვთ და არც მორალური პასუხისმგებლობა.

– დღეის მონაცემებით, რამდენი ბოშა მოსწავლე სწავლობს ქობულეთის მე-5 საჯარო სკოლაში?

– განათლების მიღებისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულება ამ თემის ყველაზე დიდი გამოწვევაა, ასევე გამოწვევაა – უმუშევრობა, პროფესიის არქონა, სახელმწიფო ენის არცოდნა, საკუთარი ტრადიციების მორჩილება, მოტივაციის დაბალი დონე საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში განხორციელებული პროექტების დახმარებით, იცვლება და უმჯობესდება მათი შეხედულებები განათლების მიღების აუცილებლობის შესახებ, მაღლდება თემის წევრთა ცნობიერება, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სასკოლო ასაკის ბავშვები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. ამჟამად, ქობულეთის მე-5 საჯარო სკოლაში 75-ზე მეტი ბოშა სწავლობს.

შედარებით უკეთესია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებში სკოლის მიტოვების ფაქტები უფრო მეტია. მიზეზი სხვადასხვაა: სასწავლო ნივთების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის უქონლობა. მშობლები უტოვებენ მცირეწლოვან და-ძმებს, მიჰყავთ სავაჭროდ და რაც ყველაზე შემაშფოთებელია – მოწყალების სათხოვნელად.

გოგონებს უფრო უწევთ სწავლის შეწყვეტა, იმავე მიზეზით – და-ძმის მოვლა, დედის დახმარება. არასრულწლოვანთა გათხოვების შემთხვევებმა იკლო, მაგრამ მაინც გვხვდება.

– სკოლის დამთავრების შემდეგ რა არის მათი არჩევანი, სად და რა მიმართულებით აგრძელებენ სწავლას?

– სრული საშუალო განათლების ატესტატი მხოლოდ 10-მდე ბოშას ექნება. გვაქვს მხოლოდ სახელობო განათლების მიღების შემთხვევები, ბოშა ახალგაზრდები უფრო ხშირად ირჩევენ სტილისტის, ბარმენის პროფესიებს. დასაქმების შემთხვევებიც გვაქვს – ქობულეთის ერთ-ერთ სალონში პირველი ბოშა გოგონა მუშაობს სტილისტად, ერთი ბიჭი სეზონურად საქმდება ბარმენად. ზრდასრულ ბოშათა ნაწილი დასაქმებულია დასუფთავების სამსახურში.

– რა აქტივობები ხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბოშათა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით?

– ამ ეთნიკური უმცირესობის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა აქტივობა ხორციელდება.

სამართლებრივ სივრცეში ბოშები ბოლო ათი წლის წინ გამოჩნდნენ, მიიღეს პირადობის, დაბადების და ქორწინების მოწმობები. სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სერვისებით: სოციალური დახმარება, საყოველთაო ჯანდაცვა.

წლების განმავლობაში, მათი ინტეგრაციის ხელშესაწყობად, მუშაობდა წრეები: სახელმწიფო ენის, მათემატიკის საფუძვლების, მართვის უფლების, ჭრა-კერვის შესასწავლად.

თვითმყოფადი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ბოშური კულტურის გადარჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით, ბოშური ბენდი შეიქმნა.

მათი სოციალიზაციისთვის ქობულეთის მე-5 საჯარო სკოლა ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამაში – „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა“ და ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, რაც ხელს უწყობს როგორც ჩვენი სკოლის ბოშა მოსწავლეების, ისე ადგილობრივ თემში მცხოვრები სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბოშა ბავშვების თანატოლებთან სოციალიზაციას, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და სასწავლო პროცესში სრულფასოვან ჩართულობას.

№5 საჯარო სკოლაში, ბოშა მოზარდებისთვის და მათი ქართველი თანატოლებისათვის, ფუნქციონირებს კითხვის, თეატრისა და ცეკვის კლუბები. რეგულარულმა შეხვედრებმა და არაფორმალურ გარემოში დაგეგმილმა აქტივობებმა ხელი შეუწყო მოზარდების გაერთიანებას საერთო ინტერესის გარშემო, დაეხმარა ბოშა ბავშვებს სახელმწიფო ენის შესწავლაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაში...

სასკოლო აქტივობა

ახალი ხედვა

„ახალი სკოლის მოდელი“ განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმის ნაწილია, რომლის მისიაა პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება. აღნიშნული პროექტი ყველა მოზარდს საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას მისცემს და XXI საუკუნის გამოწვევებისთვის საჭირო ცოდნით შეაიარაღებს. რეფორმის ძირითადი მიზანია, უპასუხოს ამ გამოწვევებს და სკოლის მოსწავლეებში ისეთი კომპეტენციები განავითაროს, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარები, ლოგიკური აზროვნება და ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენების უნარი.

„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლაში, 3 მაისიდან 5 ივნისამდე, წარმატებით განხორციელდა პროექტი „ახალი ხედვა“, რომელსაც სკოლის დირექტორი, ქალბატონი სოფიო კუბლაშვილი ხელმძღვანელობდა.

მუხრანი ეთნიკურად მრავალფეროვანი სოფელია. აქ, ქართველებთან ერთად, აზერბაიჯანელები, ოსები, სომხები ცხოვრობენ, სოფლის მიმდებარედ კი – ასირიელები.

სოფელში მშვიდობიანი თანაცხოვრებაა, არ შეინიშნება დაპირისპირება მოსწავლეთა შორის, თუმცა აზრს მოკლებული იქნება მტკიცება, რომ ამდაგვარ მრავალფეროვან საზოგადოებაში გამორიცხული იყოს ძალადობა, ცხადი თუ ფარული ბულინგი, მით უმეტეს მაშინ, როცა მოსწავლეებს მწირი ინფორმაცია აქვთ ერთმანეთის კულტურასა და ტრადიციებზე.

ვცდილობთ რა, შევქმნათ ფიზიკურად თუ ემოციურად უსაფრთხო გარემო, რომლის არსებობაზე ზრუნვაც ჩვევად უნდა გაჰყვეს სკოლის კურსდამთავრებულებს შემდგომ ცხოვრებაში. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, მოზარდებმა დროულად გააცნობიერონ, რომ „კულტურათა მრავალფეროვნების პატივისცემა, შემწყნარებლობა, ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში წარმართული დიალოგი და თანამშრომლობა წარმოადგენს მშვიდობისა და უსაფრთხოების საუკეთესო გარანტიას.“ მეტიც, აუცილებელია, მოსწავლეებმა გაითავისონ, რომ „კულტურული მრავალფეროვნება, წარმოადგენს რა ურთიერთგაზიარების, ნოვატორობისა და შემოქმედების წყაროს, ისევე აუცილებელია კაცობრიობისათვის, როგორც ბიომრავალფეროვნება – ბუნებისათვის. ამ თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას და აღიარებულ და შენარჩუნებულ უნდა იქნეს ამჟამინდელი და მომავალი თაობებისათვის...“

პროექტით გაწერილი აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს, შენიშნონ და აღიარონ ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის უნიკალურობა, მათი წვლილი ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან ისტორიასა თუ კულტურაში, რაც იმის საფუძველი გახდება, რომ მოსწავლეებმა შეგნებულად სცენ პატივი ეთნიკურ უმცირესობებს, გაიზარდოს მიმღებლობა, იცხოვრონ ბულინგისგან თავისუფალ გარემოში, რაც, საბოლოოდ, სოფელში/ქვეყანაში არსებული კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების საფუძველი გახდება.

პროექტის მიზნები და ამოცანები:

- მოსწავლეებმა გააცნობიერონ რას ნიშნავს კულტურული მრავალფეროვნება;
- მიიღონ ზოგადი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შესახებ;
- სიღრმისეულად გაიაზრონ მუხრანსა და მის მიმდებარედ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, მათი კულტურის, ტრადიციების შესახებ მიწოდებული ინფორმაცია;
- მოსწავლეებმა თავად შეძლონ ამა თუ იმ ეროვნული ტრადიციის შემოქმედებითად ჩვენება;
- გაღრმავდეს ტოლერანტობა;
- მოხდეს ფარული ბულინგის პრევენცია;
- გაღრმავდეს და სკოლის შემდგომ ცხოვრებაში შენარჩუნდეს მეგობრული დამოკიდებულებები ეთნიკური უმცირესობების მიმართ;
- მოსწავლეებში განვითარდეს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები.

სამიზნე ჯგუფები:

- IX-XI კლასების მოსწავლეები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების, ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნების კათედრა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- თემი.

პროექტ „ახალი ხედვის“ ფარგლებში, დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები:

- მუხრანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ეთნიკური ჯგუფების შესახებ ინფორმაციის შეგროვება (აზერბაიჯანელები, ასირიელები, ოსები, სომხები);
- დოკუმენტური ფილმების კვირეული; შთაბეჭდილებების გაზიარება; თანმდევი დისკუსია;
- შეხვედრები მუხრანსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან:

✔ „ერთი დღე ასირიელებთან“ – აისორი მოსწავლეების გაცნობის მიზნით, სოფელ ძველი ქანდის საჯარო სკოლაში სტუმრობა და მამა სერაფიმესთან ვიზიტი;

✔ „ერთი დღე ოსებთან“ – შეხვედრა მხატვარ ევა კუდუხაშვილთან (დისტანციურად);

✔ „ერთი დღე აზერბაიჯანელებთან“ – მუხრანში, აზერბაიჯანელების დასახლებაში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსწავლეებთან ვიზიტი;

✔ საინიციატივო ჯგუფის თაოსნობით, პროექტის ფარგლებში, სკოლის სააქტო დარბაზსა და „შატო მუხრანში“, მოეწყო შეხვედრები: ოქტაი ქაზუმოვთან (მწერალი, მთარგმნელი, ფილოლოგი); იოსებ მაზმანიანთან (უცხო ენების სპეციალისტი; აგრარული უნივერსიტეტის ლექტორი); რუსუდან აფციაურთან (ეთნიკური საკითხების მკვლევარი).

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ინიციატივით, მოეწყო ესეების კონკურსი „ეთნოსები ჩემი თვალით“, რომლის ფარგლებში, წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით, შეფასდა და გამოვლინდა სამი საუკეთესო ესე. დასკვნითი ღონისძიების – „ფარული კონვერტი“ ფარგლებში, კლასებმა წარმოადგინეს ის ეთნიკური ჯგუფი, რომელიც მონიშნული იყო დაფარულ კონვერტში ჩადებულ ფურცელზე.

პროექტის საინიციატივო ჯგუფი და სკოლის მოსწავლეები, ახალ სასწავლო წელს სიახლეებით დაგვიბრუნდებიან...

მთვარისა თალაკვაძე
მუხრანის №1 საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერი

მე, შენ და საქართველო

ამ სახელწოდებით ჩატარდა 16 ივნისს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის IV[4] კლასის მოსწავლეთა ღონისძიება, რომლის ხელმძღვანელი, სცენარის ავტორი და რეჟისორი იყო ქალბატონი იზო გუგავა.

ეს ღონისძიება ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში – „მედეაში“ ჩატარდა, სადაც ჭორიკანა ნაკადულის რაკრაკი, ჩიტების სტვენა-გალობა, თვალხატულა გოგო-ბიჭების ნამღერი თუ მხატვრულად წაკითხული ლექსები ერთმანეთს ენაცვლებოდა და გულსა და სულს ატკბობდა... ერთმანეთს ცვლიდა ლიტერატურული, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები. „ნეტა, ამ ხედებს ქვეყანაზე რა შეედრება“... „სხვა საქართველო არ მინდა“... „საქართველო კვლავ გვანახე მთლიანი“... „სხვა საქართველო სად არი“... – დიდი გრძნობით წარმოთქმულ ამ სტრიქონებს, რომლებიც გულში სითბოდ იღვრებოდა და ტანში ჟრუანტელს გვგვრიდა, ცრემლებამდე მივყავდით.

მოსწავლეთა დახვეწილი მეტყველება, გრძნობით წაკითხული ლექსები, არაჩვეულებრივად შერჩეული და შესრულებული მუსიკალური ნომრები მაყურებელს ხიბლავდა და ოვაციები არ ცხრებოდა.

სიხარულისა და სინანულის ცრემლები ერთმანეთში ირეოდა. ბავშვებსა და მშობლებს ძალიან გაგვიჭირდა გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმა. ქართულ სიტყვათა ამოუწურავ საგანძურში ვერ მოვძებნეთ ის სიტყვები, რომლითაც შეიძლებოდა ჩვენი საყვარელი მასწავლებლისთვის მიგვემართა, მაგრამ რა საჭიროა სიტყვები იქ, სადაც ნამდვილი სიყვარულია?!

ღონისძიება დასრულდა მუხრან მაჭავარიანის ლექსით „ვითარცა მტკვარი“ და მამუკა ჩარკვიანის სიმღერით „თავისუფლება“. მასწავლებელმა მოსწავლეებს სამახსოვრო ბარათები გადასცა და გზა დაულოცა მომავლისკენ.

გმადლობთ ამ ნაყოფიერი ოთხი წლისთვის, იზო მასწავლებელო!

ლამზირა არსენიძე
IV[4] კლასის მშობელთა სახელით

სად ცხოვრობს მეზღაპრე

ის ადგილი აქედან შორს არის. ირგვლივ სულ მაღალი, ლაურჯი მთებია, შუაში კი სნორი წისფერი ტბა კამკამებს.

ლაურჯ მთებზე ღრუბლები იბადებიან, პატარა, წელქი ბიჯუნებივით კოტრიალობენ ფერდობებზე, იზრდებიან, იბერებიან და მერე ჩვენკენ მოდიან რუხრუხითა და მუქარით. ტბა კი სარკეა ბუნებისა. ყველას უყვარს შიგ მზერა და კაკლუური. იყურებიან შიგ და კაკლუურობენ მთები და ღრუბლები, მთვარე და ვარსკვლავები, ყვავილები და ხეები.

ზოგი ხე შიგ ნაკლოში კი შესულა. ეს დიდი, ტანჯრელი ვერხვებია. მათი ფოთლები სულ ბრნყინავენ, სულ თრთიან, სულ ჩურჩულებენ, — ჩუ! ჩუ! ჩუ! ჩუ! — მათ ქვეშ კი თითქმის ყოველთვის ბნელია...

დილადილობით ტბას თეთრი, მშვიდი ბურუსი ანევს ხოლმე. მზე რომ ამოსვლას დაუპირებს, ის ნისლი აიშლება, აინურება მატყლის ფთილასავით, ავა მაღლა და იქ მთის წვერებზე გაუჩდება. ვერხვებშორის კი, სიბნელეში, ამ ბურუსივით მსუბუქი პატარა მოხუცი გამოჩნდება. ხელში გრძელტარიანი ანკესი უჭირავს. წუწუცით გავა ტბაში ჩაყირავებული ვეება ხმელი ვერხვზე, გაშლის ანკესს და ფეხებაკეკრილი შესაკუპდება კუზივით ამობერილი ნუკრს.

ტბა ამ დროს უამრავი ფერითა და ნვრილი თევზებით არის სავსე.

მოხუცი გაუნძრევლად ზის, გაუნძრევლად უჭირავს ანკესის ტარიკ, მხოლოდ წითელი ტივტივა თახთახებს და თრთის. და როცა ტივტივა ჩაიძირება ღრმად, მოხუცი შეშფოთებით ამოსნევს ანკესის დამძიმებული ტარს და მზეზე აბრჭყვიალებული თევზს სნრაფად იჭერს ჰაერში.

ასე თევზაობს საღამომდე.

საღამოს კი უნთია წყნარი პანანინა ქოხის წინ. დიდი ვერხვების ძირას, ხარიხაზე ჩამოკიდებული ქვაბში იხარშავს საჭმელს.

გამოდიან კურდღლები, მელიები, ციყვები, მაჩვები და ტურები. შეჰკრავენ წყნარის ირგვლივ წრეს, სხედან მორჩილად და სათითაოდ ჰყვებიან თავ-თავიანთ ამბებს.

მოხუცს კი გადაშლილი აქვს კიდეებშემოწვეთილი, სქელი, ვეებერთელა რვეული, დამჭკნარ ტუჩებთან მალიმალ მიაქვს ნვერბოკოლა ფანქარი და მერე იმ ვეებერთელა რვეულში წერს, წერს მათ ნაამბობს, ანუ, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, — ზღაპრებს.

მაღლა, ღამეში შეკარგული ვერხვებზე კი ნაღვლიანი ჯოტი ზის და თვალებდახუჭული ითვლის წუთებს:

— ჯუუტ! ჯუუტ! ჯუუტ!

რევაზ ინანიშვილი

7 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

გამოცხადდა „ახალი განათლების“ ფასდაკლება

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
593 30 02 64, 599 88 00 73, 032 295 80 23

სასწრაფოდ

მასწავლებლის გამოცდებისთვის
ფასი – 27 ლარი



წიგნში თავმოყრილია I-IV კლასების მასწავლებელთა კომბინირებული საგამოცდო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სახით

ფასი – 17 ლარი

ტექსტის გააზრება

12 ლარი

სწავლების ინტერაქტიური მეთოდები

10 ლარი

ქართული (I-VI) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა

15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა
თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ახალი განათლება

შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი

რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

იბეჭდება სტამბა „კოლორში“ კოლორი სტამბა მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.